გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N13 (9229) 10 მაისი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

მე ჩემს ქუთაისს მოვინატრებდი...

5

ამ გზით ტაძრამდე ვერ მივალთ...

3

უკეთესობისკენ ერთად შევცვალოთ სამყარო

„პირველ კვარტალში ბიუჯეტის კარგი მაჩვენებელი გვაქვს”

9 მაისი სამტრედიაში

4

3

უფრო ახლოს ამომრჩეველთან

„მეტი ტრუზადურული მანევრი რეგიონებში!”

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე მოხნულია 1500 ჰექტარი ფართობი

სამტრედიის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები _ სააღდგომო გამოფენის მონაწილეები

8

ეს ქართველმა შეძლო!

11

1 მაისს საკრებულოს სხდომაზე

ლევან გაბეჩავა

საინტერესოდ, საქმიან ვითარებაში ჩატარდა საკრებულოს მორიგი სხდომა პირველ მაისს, რომელსაც ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა.

მას შემდეგ, რაც თავმჯდომარემ შეკრებილთ განსახილველ საკითხთა ნუსხა გააცნო და საკითხები, რომლებიც კომისიათა თავმჯდომარეებმა ქალბატონმა მანანა სირბილაძემ, ბატონებმა შალვა არზუმანიანმა და მერაბ უღრელიძემ წარმოადგინეს, წინადადებებისათვის სიტყვა რამდენიმე დეპუტატმა ითხოვა.

ბატონმა იმედა გოგავამ ყურადღება იმ საამშენებლო კომპანიისა და მისი მესვეურების, ასე ვთქვათ, უპასუხისმგებლობას მიაპყრო, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინ ადმინისტრაციული სახლის გადახურვითი სამუშაო შეასრულა. შეგახსენებთ, ძლიერი ქარისას სახურავი გადმოვარდა და ბედნიერი შემთხვევის გამო (არასამუშაო დღეები იყო), მსხვერპლი არაა, თუმცა, არის ზარალი. ყოველმხრივ სამართლიანად აღნიშნა იმედა გოგავამ ტენდერების ჩატარების, მიმდინარეობის, ორგანიზაციის შერჩევისას მეტი წინდახედულობა იქნას გამოჩენილიო და ამ კუთხით ცენტრალური უწყებებისაგან მეტი სიღრმისეულობის აუცილებლობაზეც გამოხატა საკუთარი მოსაზრება. ბატონმა გოგავამ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების კეთილმოწყობის პროცესში საზოგადოების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელთა მეტი ჩართულობის აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი. პოზიცია-ოპოზიცია გოგავას მიერ დასმულ საკითხებს ერთსულოვნად დაეთანხმა.

ებადაღებული თემაა კომპანია "სინოპიდროს" საქმიანობა მუნიციპალიტეტში. მისთვის ჩვეული არგუმენტებით, კიდევ ერთხელ ნათელჰყო საკრებულოს წინაშე, კომპანიის მიერ წესების დარღვევით მდინარე გუბისწყლიდან ინერტული მასალის ამოღების შედეგად მოსალოდნელი უბედურების საფრთხე ბატონმა ემზარ შუბლაძემ და სოფლის საავტომობილო გზის ამჟამინდელ ვითარებაზეც თქვა. გავლა შეუძლებელია ავტომანქანით, იქეთ დედულეთი მყავს და შემოვლითი გზით ვმოძრაობ, თუმცა ეს შემოვლითი გზა ინტენსიურად სამოძრაო რომ გახდეს, რაკი გზა შიდასასოფლოა, შეიძლება საავარიო სიტუაციებიც არ გამოირიცხოსო, _ დასძინა ბატონმა ემზარმა. ითქვა მდინარე ხევისწყალასა და შესაბამისად, მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მსგავსი პრობლემის შესახებაც. აღინიშნა, რომ კომპანიები, არაერთი მკაცრი მითითება-გაფრთხილებისა, ჯიუტად აგრძელებენ წესების დარღვევით საქმიანობას. საკუთარი მოსაზრება საკითხის ირგვლივ იანეთის მაჟორიტარმა ბატონმა პაატა კოხრეიძემაც გამოთქვა.

ბატონებო, ეს საკითხები ყურადღების მიღმა არაა და მერწმუნეთ არც აწი იქნება, მიმართა კოლეგებს. საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ჯამბურიამ. სოფლის მოსახლეობის სატკივარი გაახმიანა გზების ავარიული მდგომარეობის შესახებ გომის მაჟორიტარმა, ბატონმა დავით ამაღლობელმა.

ჩვენ სამტრედიაში არა გვაქვს სათანადო პირობები საიმისოდ, რომ ვუმასპინძლოთ ჭიდაობაში სხვადასხვა შეხვედრებს, არადა, ამას წინათ იყო შემოთავაზება, სამტრედიაში ჩაგვეტარებია ერთერთი შეხვედრა, მე უარი ვუთხარი, აღნიშნა ბატონმა ბადრი შენგელიამ, საკრებულოს განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტში სპორტის სასახლის აუცილებლობას გაუსვა ხაზი, რასაც ყველა დაეთანხმა.

აუცილებელია აღინიშნოს ერთიც, რამაც ჩვენი (ჩემი) კმაყოფილება გამოიწვია. საკრებულოს ამ სხდომაზე არ გაკეთებულა ცინიზმით გაჯერებული განცხადებები... მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ საჭირბოროტო საკითხთა გადაჭრისათვის აშკარა იყო პოზიცია-ოპოზიციის აზრთა თანხვედრა, რასაც საკრებულოს თავმჯდომარისათვის ჩვეული ტაქტიანი, დამაჯერებელი დასტურიც თან ახლდა _ ვამსჯელებთ, გეთანხმებით, განვიხილავთ, დასმულ საკითხთა მოგვარება-გადაჭრაში საკუთარ ჩართულობას ამ სიტყვებით უდასტურებდა კოლეგებს ბატონი ნუგზარ ჯამბურია, რომელმაც სხდომის ბოლოს მადლობა უძღვნა კოლეგებს, მოწვეულთ მობრძანებისათვის და მომავალ სხდომამდე დაემშვიდობა.

საოცრად საქმიანი იყო 1-ლი მაისის სხდომა.

"პირველ კვარტალში ბიუჯეტის კარგი მაჩვენებელი გვაქვს"

ნინო ნანიტაშვილი

2017 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი სამტრედიის მუნიციპალიტეტმა გადაჭარბებით შეასრულა. სამი თვის შემოსულობების გეგმა 2 072 500 ლარი იყო, ფაქტობრივმა შემოსავალმა 2 412 600 ლარი შეადგინა. ე. ი. წლის პირველი კვარტლის გეგმა შესრულდა 116,4 პროცენტით. ასეთია ცალკეული სახეობების მიხედვით შემოსავლების სურათი: საგადასახადო შემოსავლების გეგმა 284 100 ლარი _ შესრულდა 100 %-ით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები _ გეგმით 1 173 200 ლარი ასევე 100 %-ით შესრულდა. რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა დანარჩენ შემოსავლებს, გეგმით გათვალისწინებული იყო 415 200 ლარი, ხოლო სამი თვის შესრულებამ შეადგინა 753 300 ლარი. გეგმა ამ სახეობაში შესრულდა 181, 4 %-ით, რაც გამოიწვია სათამაშო ბიზნესიდან მიღებულმა შემოსულობებმა.

არაფინანსური აქტივების გეგმა 200 000 ლარი _ ფაქტობრივი შემოსავალი 202 000 ლარი მივიღეთ. გეგმა შესრულდა 101 პროცენტით.

"სამტრედიის მაცნეს" ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა. მარინა ანდღულაძის განმარტებით 2017 წლის აგგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება თითქმის ანალოგიურია წინა, 2016 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის შესრულებასთან: "ზოგადად კარგი მაჩვენებელი გვაქვს. მომავალში ველოდებით ძირითადად ქონების და მიწის გადასახადების მატებით შემოსვლას, რაც ჩვენს ბიუჯეტს საგრძნობლად გაზრდის და იგი ხელს შეუწყობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვა ღონისძიების სრულად დაფინანსებას".

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე მოხნულია 1500 ჰექტარი ფართობი

ნათია ნაცვლიშვილი

"მცირემიწიან ფერმერთა საგზაფხულო სამუშაოების პროექტი" საქართველოს კეთილ მოგონებად ექცა. ამ პროგრამის წყალობით ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისევე, როგორც სხვაგან, საყანე ფართობები დაუმუშავებელი არ რჩებოდა. მოსარგებლეებს, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნდათ 0,25 ჰა-დან 1,25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად, გადაეცემოდათ ფართობის პროპორციული ღირებულების სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათი. ერთ ჰექტარზე 140 ლარის გადაანგარიშებით. მოსახლეობაში უკვე არაერთ გულისტკივილს თუ ირონიით ნათქვამ რეპლიკას მოისმენთ, რომ ხვნის ვაუჩერის გარეშე დარჩენილთ ფართობების ნახევარი დაუმუშავებელი დარჩებათ. ინფორმაციას, თუ რა ეტაპზეა ამჯერად ჩვენს მუნიციპალიტეტში ხვნა-თესვის სამუშაოები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, მამუკა კვანტალიანი გვაწვდის.

მისი თქმით, ფართობების მოხვნა დროულად დაიწყო, ფასებიც იგივეა, რაც წინა წლებში იყო. ერთი ჰექტარის დახვნის ფასი 140 ლარია, 320 ლარი ჯდება ოთხი ოპერაცია: დახვნა, დადისკვა, დაფარცხვა და დათესვა. ამჯერად ჩვენს მუნიციპალიტეტს ემსახურება შპს " მექანიზატორის", "ამხანაგობის" და კერძო პირების ტრაქტორები. პირველი უწყების არჩევის შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია შეუთანხმდეს მენეჯერს ან ბრიგადირს, შეიტანოს საჭირო საფასური ბანკში, რის შემდეგაც "მექანიზატორი" მას მომსახურებას გაუწევს. ფერმერმა იცის, რომ ძველი "ბელორუსის" ტიპის ტრაქტორზე უკეთ ახალი ტექნიკა მუშაობს, მოსახლეობა კი უმეტესად კერძო პირებს ეკონტაქტება და ფართობებს მათ ახვნევინებს.

მამუკა კვანტალიანი: "სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ბევრი ფართობი არ არის მოხნული, გასულ წლებში მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა მოქმედებდა, ამ დროისათვის მოხნულია 1500 ჰექტარამდე და დათესილია 510 ჰექტარი ფართობი. შარშანდელ და შარშანწინდელ გრაფიკს წლეულს ბევრად ჩამოვრჩებით.

ბოლო 5 წლის განმავლობაში 8 000-დან 11 000 ჰექტარამდე ფართობი იხვნებოდა, ახლა, სავარაუდოდ, 5-6 ჰექტარი დაიხვნება. სასურველია, სიმინდის დათესვა ივნისის შუა რიცხვებში ან ივნისის ბოლოს დასრულდეს, ჩვენს მეზობელ აბაშის მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით ჩვენზე უკეთესი ვითარებაა... ჩვენთან დახვნა დროულად დაიწყო, მაგრამ მოსახლეობა ჯერ საკუთარ ეზოებს ამუშავებს და როცა ეზოში დათესავს სიმინდს, მერე იწყებს გაშლილი ფართობების დახვნას. ჩვენი ფართობების ძირითადი უბედურება უპატრონოდ გაშვებული მსხვილფეხა პირუტყვია. ასეთი ფართობები კი ითესება ძირითადად ივნისში. როცა მოსახლეობა თავის საქონელს აბამს და არიდებს მათ მიერვე დახნულ ამ ფართობებს."

ამ გზით ტაძრამდე ვერ მივალთ...

ლევან გაბეჩავა

ჩინური და უკრაინული კომპანიების სამტრედიის მუნიციპალიტეტში საქმიანობა კარგა ხანია, ყბადაღებული თემაა...

8 მაისს საქართველოს პარლამენტის წევრი, სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი გრიგოლ მიქელაძე, მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, გამგებლის მოადგილე, როსტომ თავაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლეჟავა სოფელ იანეთში გზის იმ მონაკვეთის სანახავად მივიდნენ, ჩინურმა კომპანიამ რომ დაზიანა მძიმე და ზემძიმეწონიანი მანქანებით.

შეგახსენებთ, კომპანიების მდინარე გუბისწყლიდან ინერტული მასალის ამოღებას აწარმოებს რიგი წესების დარღვევით, რაც არაერთხელ გამხადარა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მაჟორიტარის მსჯელობის საგანი.

გზა ვითომ შეკეთებულია, ისე კი ბავშვის ნათამაშებს უფრო ჰგავს ყოველივე(?!)

"არავინ იფიქროს, სახელმწიფო პროგრამების წინააღმდეგნი ვიყოთ, ან ხელს ვუშლიდეთ ამ გრანდიოზულ პროექტებს, მაგრამ ის, რასაც ამჟამად ვხედავთ, პასუხისმგებლობის ყველა ზღვარს სცილდება.

საინტერესოა, ვინ ლობირებს ამ ორგანიზაციებს? როგორ ბედავენ ქართველ ხალხს ასე მოექცნენ? არანაირი დათმობა. პირველი კატეგორიის გზა უნდა გაკეთდეს აქ.

რამდენიმე დღეში "ნიკობაა" დიდ ჯიხაშში, ესეც რომ არა მოუთმენელია ყველაფერი.

20-25 ათასით მეტი რომ დაეხარჯათ, საქმე გაცილებით კარგად იქნებოდა..." ცხარობდა გრიგოლ მიქელაძე.

მოგვიანებით კომპანიის წარმომადგენლებიც შემოგვიერთდნენ. ტაქტიანად გამოხატა მათთან პრეტენზიები ბატონმა მიქელაძემ.

პარლამენტარმა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს სოფელ იანეთში, ვაჟა კოხრეიძესაც უთხრა, მეტი ყურადღება უნდა გამოგეჩინა გზის რეაბილიტაციისასო. სოფელ გომშიც იგივე ვითარებაა. აქაც ზედმეტად დატვირთული მანქანებითაა გზები გაფუჭებული, საშიშროებას ჰქმნის მდინარეთა კალაპოტებიც, საიდანაც მასა ამოაქვთ.

იანეთისაგან განსხვავებით გომში მოსახლეობის ერთი ჯგუფი დაგვხვდა სოფლის ცენტრში.

იგივე პრეტენზია გაახმიანა პარლამენტარმა აქაც.

გომელებმა კი გზასთან ერთად პარლამენტარს და მუნიციპალიტეტის თავკაცებს სოფლის წინაშე არსებული რიგი პრობლემების მოგვარებაში დახმარებაც სთხოვეს.

დინჯად უსმენდნენ პარლამენტარი და გამგებელი მოსახლეობის აზრს და დაპირებას იმის მიხედვით, იმ ვადებში იძლეოდნენ, რისი გაკეთებაც შეუძლიათ.

ისევ გზებზე. არავითარი დათმობა, მხოლოდ და მხოლოდ პირველი კატეგორიის გზები უნდა ჩავიბაროთ, შეუვალი იყო პარლამენტარი.

იგივე მოთხოვნები აქვთ მუნიციპალიტეტის თავკაცებსაც კომპანიების მიმართ.

გზები ნამდვილად უნდა გაკეთდეს თუ არა...

ეს გზები ნამდვილად ვერ მიგვიყვანს ტაძრამდე.

სტუმრის ჯალოჯზე ყურადღება წარმოდგენა რომ ჭკუნდეს

ნინო ნანიტაშვილი

9 მაისს სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი "სამტრედიის მაცნემ" იმ დროს დააფიქსირა, როცა გრიგოლ მიქელაძე მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, ზურაბ გოგიასთან და არქიტექტორთან, გია ხაჟალიასთან ერთად ქუთაისი-სამტრედიის ხიდის სიახლოვეს, ქალაქის შემოსასვლელში არსებული ინფრასტრუქტურით ინტერესდებოდა.

საქართველოს პარლამენტის წევრს არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება სამტრედიის იერსახის გაუმჯობესებაზე. გრიგოლ მიქელაძეს არ აკმაყოფილებს დღევანდელი სიტუაცია და ადგილობრივ ხელისუფლებას ურჩევს, პირველ რიგში ქალაქის შესასვლელ-გამოსასვლელი მოაწესრიგოს.

მაჟორიტარმა დეპუტატმა 9 მაისს იგივე გაუმეორა "სამტრედიის მაცნეს":

"დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ესთეტიკურ გარემოს. ლამაზ მუნიციპალიტეტს, ლამაზ ქალაქს, ლამაზ სოფელს ხელისუფლების კარგი მუშაობით ვხსნი. ამიტომ ვარ პრეტენზიული და მომთხოვნი: სამტრედია სტუმრებს თვალში სასიამოვნოდ მოხვდეთ. ჩვენ ვიწყებთ ქალაქის შემოსასვლელიდან. ეს არის ხიდი, რომლითაც სამტრედიაში შემოვდივართ. ახლა მზადდება ხიდის და ხიდის მოწყობის პროექტი, ხიდიდან რომ შემოვალთ და დავასრულებთ სამუშაოებს, დაიწყება ღობეების მოწესრიგება, შემდეგ _ სახლების ფასადები უნდა გავალამაზოთ. უნდა მივაღწიოთ იმას, როცა შემოვა უცხოელი ჩვენს ქალაქში, დაინახოს, რომ სამტრედია არის მოწესრიგებული. მთავრობის მიერ დადგენილი 4 პუნქტიანი პროექტი _ სივრცითი მოწყობა და განაშენიანება ამ მიზნით შემუშავდა. კონკრეტული სამუშაოებისათვის თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა. იმედი მაქვს კეთილი ადამიანების მხარში დგომის".

სამტრედიის ქალაქის შემოსასვლელ-გასასვლელის მოწესრიგების საკითხში პრობლემას ვერ ხედავს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი. ზურაბ გოგიას განმარტებით, სამუშაოების შესასრულებლად ბიუჯეტში გარკვეული თანხა უკვე დევს: "2017 წლის ბიუჯეტში ქალაქის შემოსასვლელ-გასასვლელის კეთილმოწყობისთვის თანხა გათვალისწინებული გვაქვს. დავიწყებთ რუსთაველის ქუჩიდან და დავასრულებთ აბაშის მხრიდან შემოსასვლელით. გზადაგზა კერძო მოსახლეების ეზოების ფასადებიც მოწესრიგდება. დეპუტატის რჩევას ვიღებთ. მაქსიმალურად შევეცდებით და გვაქვს ვალდებულებაც, სამტრედიაში მოსულ სტუმარს ჩვენს ქალაქზე კარგი წარმოდგენა შეექმნას".

უფრო ახლოს ამომრჩეველთან

ნინო ნანიტაშვილი

"ვესაუბრებით ამომრჩევლებს" _ ეს არის საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივა და საქართველოს მასშტაბით საოლქო საარჩევნო კომისიების მოსახლეობასთან შეხვედრებს ითვალისწინებს. თითოეულ მუნიციპალიტეტში გასვლითი შეხვედრები ეტაპობრივად იმართება; ამომრჩევლებს საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები სოფლებსა და მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხვდებიან და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების და საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ აწვდიან ინფორმაციას; ურიგებენ მათ საინფორმაციო ბარათებს თვითმმართველობის არჩევნების შესახებ, ესაუბრებიან საკუთარი საარჩევნო უფლებების თაობაზე და იზიარებენ მათ მოსაზრებებს.

10 მაისს 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიამ და ასევე მოხალისეებმა ამომრჩევლებთან პირველი შეხვედრა მოაწყვეს. ღია ცისქვეშ ამომრჩევლებთან მოხდა გასაუბრება 2017 წლის ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობაზე.

ნანა იმნაძე, 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: "საარჩევნო ადმინისტრაციისათვის არსებითად მნიშვნელოვანია მოქალაქეების აზრის გაგება ზოგადად საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით და სწორედ მათი მოსაზრებების გათვალისწინება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების მიზნით; აღნიშნულიდან გამომდინარე, სურვილის შემთხვევაში ამომრჩევლები შეავსებენ მოსაზრებების ბარათებსაც. საარჩევნო ადმინისტრაცია, თავის მხრივ კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს მიღებული მონაცემების საკუთარ საქმიანობაში გათვალისწინებას".

გასვლითი შეხვედრებისას საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები მოქალაქეებს ასევე იწვევენ მაისში დაგეგმილ ღია კარის დღესთან დაკავშირებით საჯარო საინფორმაციო შეხვედრებზე, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ, კიდევ უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღონ არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ, _ თუ რა ხორციელდება იმისათვის, რომ ამომრჩევლებს ყოველთვის ჰქონდეთ შესაძლებლობა, ყველასათვის ხელმისაწვდომ გარემოში შეასრულონ საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი.

"უფრო ახლოს" საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივის სლოგანია, რაც ამომრჩევლებსა და საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის უფრო უშუალო და ეფექტურ კომუნიკაციას გულისხმობს და ამომრჩევლის ინფორმირებასთან ერთად პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანიც არის.

გასვლითი შეხვედრებით საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაიფიქრა, ამომრჩეველი იყოს კარგად ინფორმირებული, იცოდეს საკუთარი საარჩევნო უფლებები, გაიგოს, თუ რა კეთდება საარჩევნო პროცესების ეფექტურად განხორციელებისათვის და იცოდეს, რომ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით დახმარების მიზნით ყოველთვის შეუძლია, მიმართოს თავის საოლქო საარჩევნო კომისიას.

9 მაისი სამტრედიაში

ლევან გაბეჩავა

ისევე როგორც ყველგან, ეს დღე სამტრედიაშიც ღირსეულად აღინიშნა.

დილიდანვე მოიყარეს თავი მუნიციპალიტეტის თავკაცებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა, საკრებულოს წევრებმა, ახალგაზრდებმა ადმინისტრაციული სახლის წინ.

ვეტერანები კი, ვეტერანები მხოლოდ ორნი იყვნენ, ორმა შეძლო მოსვლა, ბატონმა რევაზ კანდელაკმა და ბატონმა ილია ნადარეიშვილმა. ისე კი თერთმეტნი არიან ჩვენს მუნიციპალიტეტში. დიახ, დრომ, ყველაზე დიდმა მსაჯულმა მისი ქნა და ვეტერანთა არმიები გათითოკაცდა.

ხელდამშვენებულები, პირნათელნი არიან ღვაწლმოსილი ადამიანების დამსახურების წინაშე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

თითოეულ ვეტერანს ცენტრალური ხელისუფლებისაგან 600 ლარი გადაეცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი 400 ლარი და 100 ლარის ღირებულების ამანათები გადასცა.

''საახალწლოდაც შევძელით ვეტერანებისათვის 300 ლარი გადაგვეცა, განუცხადა ''სამტრედიის მაცნეს'' საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ლეჟავამ.

11 საათი.

გვირგვინით შეამკეს შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედის ძეგლი.

თბილად მიესალმა ვეტერანებსა და შეკრებილთ მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია.

ქედს ვიხრი თქვენი ვაჟკაცობის წინაშე, მუხლს ვიყრი დაღუპულთა ნათელი ხსოვნის წინაშე, ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ ძვირფასო ვეტერანებო. _ მიმართა გამგებელმა ამ დღის შემოქმედთ.

თავგანწირვისა და გმირობისათვის ვეტერანებს მადლობა უძღვნა და შეკრებილთ გამარჯვების დღე მიულოცა საქართველოს პარლამენტის წევრმა, სამტრედიის მაჟორიტარმა გრიგოლ მიქელაძემ.

მადლობის მეტი რაღა გვეთქმის მუნიციპალიტეტისა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი, რაც შეუძლიათ, რისი საშუალებაცაა აკეთებენ. მადლობა მათ,გვეუბნებიან ვეტერანები ბატონები რევაზ კანდელაკი და ილია ნადარეიშვილმა.

მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი შესანიშნავი კონცერტი გაიმართა.

სამარადისო დიდება მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთ.

ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ ვეტერანებსო!

72 წელი გავიდა ომის დამთავრებიდან.

ამასწინათ ცნობილი გახდა, რომ რუსეთში აღმოჩენილია და მიკვლეულია სამტრედიელების: ტარიელ დავითის ძე მიქელაძისა და პეტრე ივანეს ძე ცქიტიშვილის საფლავები. მისასალმებელია, რომ დღესაც გრძელდება ომში უგზოუკვლოდ დაკარგულთა საფლავების მიკვლევა, რაც პირველყოვლისა დაღუპულთა ნათესავებსა და ახლობლებს გაახარებთ.

მობოდიშება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან

ხანგრძლივი პერიოდი, 72 წელი გასულა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან. განა 72 წელს ბევრი ცოცხლობს, თუნდაც მშვიდობიან ეპოქაში? გმირებმა კი 72 წელი ომის დამთავრების შემდეგ იცოცხლეს და ელოდებიან ღირსეულ დაფასებას და პატივისცემას ომის ჯოჯოხეთსა და ქარცეცხლში გამოვლილი იმ ოთხი ავადმოსაგონარი და ტკივილიანი წლისათვის, რომლებიც მათ თავიანთ თავზე იწვნიეს.

რამდენი ფრონტელი მეგობრის დაღუპვას შეესწრნენ. რამდენჯერ მოუკვდათ გული. რამდენი ჭრილობა და ტკივილი გადაიტანეს, მაგრამ მათ მაინც გაიმარჯვეს. სძლიეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო შეიარაღებულ და ყველაზე უფრო ულმობელ, ფაშისტურ არმიას, გერმანელი ნაცისტებისა. დაამარცხეს გაუგონარი სისასტიკითა და არაადამიანური სადიზმით სახელმოხვეჭილი მტერი. მტერი, რომლის მიერ ადამიანებზე, სამხედრო ტყვეებსა თუ დაპყრობილი ქვეყნების მშვიდობიან მოსახლეობაზე გამოჩენილმა სისასტიკემ ყველა მანამდე არსებულ ტირანიას გადააჭარბა და რომ არა მოკავშირეთა წამოშველება, ალბათ, ატომური ბომბის დამზადებასაც მოასწრებდნენ და არც მის გამოყენებაზე დაფიქრდებოდნენ.

გმირებმა იხსნეს ქვეყანა, გმირებმა გადაარჩინეს კაცობრიობა.

72 წელი გავიდა ამ უზომო სიხარულითა და ტკივილით აღსავსე დღიდან. ალბათ, ოჯახი არ მოიძებნება ყოფილი საბჭოეთის რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოშიც, რომ ამ სისხლისმსმელ ომს ოჯახის თუნდაც ერთი წევრი არ ემსხვერპლოს. შინმოუსვლელებს წლობით ელოდნენ და მათ სიკვდილს არ იჯერებდნენ მშობლები და ახლობლები. მათ შორის იყო ჩემი ბაბუაც, დედის მხრიდან, პოლიკარპე ფრანგიშვილი. არდავიწყება და პატივისცემა მართებთ გმირებს მომავალი თაობათაგან. თუმცა რაც მეტი დრო გადის, უფრო და უფრო იზრდება ისტორიის ამ გმირული ფურცლის ხელახლად, დამახინჯებულად გადაწერის მსურველთა რიცხვი. დარწმუნებული ვარ, ესენი ქვეყნის მტრად შერაცხულების შთამომავლები იქნებიან; რომელთაც დამოუკიდებლობის პირობებში საკმაოდ სოლიდური კომპენსაციები გამოსძალეს ჯერ კიდევ წელში გაუმართავ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სამართლიანობის აღდგენის საბაბით. ომში დაღუპული გმირების შთამომავლობა თუ ახსოვს ნეტავ ვინმეს? არავის, რადგან სამშობლოს დაცვას შეწირულ გმირთა ოჯახები არაფერს ითხოვენ, ისინი გმირთა ხსოვნას ფულზე არ ჰყიდიან.

ვაიისტორიკოსები კი არ ნელდებიან, ისინი ატანილი ჰყავს ცილისმწამებლურ პასკვილთა წერის მანიას. განაქიქებენ სტალინის როლს, განაქიქებენ ჩვენი გმირი წინაპრების სისხლით, ცრემლითა და ოფლით დაწერილ გმირულ ისტორიას. სტალინი ლამის ჰიტლერის ტოლფას დამნაშავედ წარმოუჩინონ მსოფლიოს, თითქოს ომის მოგებაში მოკავშირეთა ღვაწლი მეტი იყო და ათეულობით მილიონი საბჭოთა მოქალაქე ტყუილად შეაკვდა პირსისხლიან მტერს, ეს სიცრუეა, ამას ისტორია არ გვაპატიებს.

64 წელი გავიდა სტალინის სიკვდილიდან. მისი თაოსნობით აშენებული ფაბრიკა-ქარხნები დღემდე გვასაქმებდა და გვკვებავდა, სანამ ჩვენივე ხელით არ დავშალეთ და ახლა დამნაშავედაც გამოგვყავს?! სტალინს ისტორია გაასამართლებს. თემურ ლენგსა და შაჰ აბასს აღმერთებენ თავიანთ ქვეყანაში და ჩვენ ფაშიზმისაგან მსოფლიოს მხსნელ გმირს, რომელსაც სიკვდილის შემდეგ კიტელის, ჩექმისა და ჯიბეში 5 მანეთის მეტი არაფერი დარჩა, ვინც ქვეყანას შვილი შესწირა და კავითა და ხიშტით ჩაბარებული ქვეყანა ატომური იარაღით შეიარაღებული დაგვიტოვა კაცობრიობის მტრად და ტირანად წარმოვაჩენთ.

ჰოდა, დაგვსაჯა კიდეც ისტორიამ. ის მოვიმკეთ რაც დავთესეთ. ბრბოდ ვიქეცით. დავშალეთ მამა-პაპათა (მათი) ნაშენები, ვძარცვეთ და ვხოცეთ ერთმანეთი, დავტოვეთ ფუძე და მსოფლიოს შევესიეთ. მოწესრიგებულ ქვეყანაში მშვიდ ცხოვრებას ''დემოკრატიულ'' ქვეყნებში სხვათა მომსახურება და მოჯამაგირეობა ვამჯობინეთ. ავჩეხეთ ვაზი, გავაველურეთ ჩაის პლანტაციები, დავცალეთ მთა, უცხოტომელებით ავავსეთ ქვეყანა. ფულმა იყიდა საქართველო, ფულმა დაიმონა ხალხი.

რას ვეუბნებით. დღეს ჩვენს ნაბრძოლ წინაპრებს, ჯვარს რად ვატანთ მათ ცხოვრების მიწურულს? ეგებ გაიფიქრონ კიდეც, _ ამად ღირდა? თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გმირები არიან და ასეთ აზრს გულს არ გააკარებენ, მაგრამ ჩვენ სირცხვილნაჭამნი ვართ მათ წინაშე. ამ საყვედურს მათი სახელით ვამბობ და ჩემს თავსაც ვსაყვედურობ. მიტევებას და დროს ვითხოვთ თქვენგან, ჩვენო ღირსეულო გმირებო. დროა გამოვფხიზლდეთ, ჩვენს ქვეყანაზე და ჩვენს ხალხზე ვიზრუნოთ, რათა კვლავ ამაყად ფრიალებდეს ქართული ხუთჯვრიანი დროშა მსოფლიოს სხვა ამაყი ხალხების ალამთა გვერდით და მინდა, რომ ამ ლამაზ დროებას თქვენც მოესწროთ, აკი თქვენ სიკვდილსაც დავიწყებიხართ!

აკაკი რუხაძე

პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი განხორციელდა

ნინო ნანიტაშვილი

2017-2018 სასწავლო წლისთავის პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაციის მეორე ეტაპი 8 მაისს დილის 9 საათზე დაიწყო.

ელექტრონული რეგისტრაცია 2017 წლის 8 მაისიდან 1-ლი ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. მეორე ეტაპზე რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდა 2017 წლის 2 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

შეგახსენებთ, რომ პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი 2017 წლის 10 აპრილს დაიწყო და 24 აპრილამდე გაგრძელდა. რეგისტრირდებოდნენ ის მოსწავლეები, რომელთა და-ძმა სწავლობდა ამ სკოლაში, ან რომლის მშობლებიც სკოლის თანამშრომელია, რომელთა ოჯახიდან 2 ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული მოსწავლეების ჩასარიცხად აუცილებელი იყო დოკუმენტის მიტანა, რომელიც 25 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა.

პირველ და მეორე ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

მესამე ეტაპი 2017 წლის 19 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. რეგისტრაცია განხორციელდება სკოლაში, მე-2 ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებული ადგილების ვაკანტურ ადგილებზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

ელიზა ცხვირავაშვილი სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი: ''ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ 2017-2018 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ანუ სწავლის დაწყებისთვის უსრულდებათ 6 წელი. 2017-2018 სასწავლო წელი დაიწყება 15 სექტემბერს. დარეგისტრირებულ პირველკლასელებს წარმატებულ, მხიარულ და ბედნიერ სასკოლო ცხოვრებას ვუსურვებ. მათ მოუთმენლად ელიან მათთვის სასურველი სკოლები და საყვარელი პირველი მასწავლებლები''.

მე ჩემს ქუთაისს მოვენატრები...

თეა ბაბუნაშვილი

ორმაისობის ხიბლმა ისევ ააგვირილა, "ვიშნაზისტკებივით" მოედო ქალაქს თეთრად აქათქათებული გულყვითელა ყვავილები იმ გოგონების ღვაწლის დაფასებად, დღესასწაულად ქველმოქმედება რომ დაანათლეს ულამაზეს უძველეს ქალაქს. ფუნჯით მოსმულ ნატურმორტად რიონის პირს შეფენილი ქუთაისი, მისეული კოლორიტითა და წეს-ჩვეულებების პატივისცემით, დასაბამიდან დღემდე რჩება ქართველობის მესაჭედ.

უკვე ალარ ვამბობთ ტრადიცია ალდვა-თქო, ტრადიცია გრძელდება. სამაისო და სავარდო ქუთაისი თეთრი ხიდიდან "პიკასოს ბიჭივით" მიფრინავდა ძმობის, მეგობრობის და სიყვარულის ზვირთებზე ჩასახუტებლად. იმ დღეს ყველგან გრძნობდი, გულს მიბნეული თეთრი ვარდებით, "ქვეყნად სუყველას რომ დავავიწყდე, მე ჩემს ქუთაისს მოვენატრები" და უკვე იცოდი, მისი მონატრება სამარის კარამდე მიგყვებოდა მშობლიური კერიის ნოსტალგიასავით. იმ დღეს სიყვარულს სიგიჟის უფლება ჰქონდა ქუთაისში. იმერული სითბოთი და სადღესასწაულო განწყობით ეფერებოდა კიდეც აიადან ქუთაისამდე მოყოლებული სტუმართმოყვარეობით დამხვდურს და მომსვლელს.



მუხრანის ტყეში მუხების ჩრდილში გაბნეული იმერეთი რჩეული ღვინით სვამდა სავარდო და სამაისოს სადღეგრძელოს. კოლორიტი და ლაზათი აქ უნდა გენახათ ქართული სუფრის თუ ქართული სულის. ვანს, ხონს, სამტრედიას, საჩხერეს, ხარაგაულს, ერთი სიტყვით, იმერეთის ყველა კუთხეს, სუფრა მისი კუთხის ჩვეულებით გაეშალა, მკლავიც გაეშალა და სიმღერაც ეთქვა გამორჩეულად. ჰოდა, არ დარჩენილა არც ერთი ალაგი, იმერულად რომ არ მოჰფერებოდა იმერეთის გულს, ქუთაისს.

წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, გამორჩული გახლდათ და პირველთა შორის საუკეთესოს ტიტული არავის დაუთმო სამტრედიამ. მუხების ჩრდილში გაშლილ სუფრას არც ნოვატორი ნიკო ნიკოლაძე აკლდა თავისი "რემინგტონით". ნიკოლაძეობა კარგად მოირგო სამტრედიელმა რადი შენგელიამ, რომელიც არაერთი სამტრედიული სპექტაკლის გამორჩეული სახეა. ამიტომ ცნობილი მსახიობების დარად, მასთან, ანუ "დიდ ნიკოსთან" სურათის გადაღების მსურველი არ ილეოდა. საბეჭდ მანქანაზე კი სინამდვილეში დიდი ნიკოს სიტყვები იბეჭდებოდა, რომელიც ისე მიიღო იმ დღის სამახსოვროდ იმერეთის გუბერნატორმა, როგორც სხვა დანარჩენმა: "ყოველი ერი ვალდებულია, სანამ შეუძლია იბრძოლოს თავისი მამულის, რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნების დასაცავად, შესანახავად." გლობალიზაციის მორევში მოტრიალე საქართველოსთვის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ამ შეგონებას გაუხუნარი დანიშნულება აქვს.

გაშლილი ტაბლით, მოშიშხინე მწვადით, ჭურიდან ხაპით მირთმეული ჩინებული ღვინით და ტრადიციულთან ერთად განსაკუთრებული დიზაინით თავმომწონე სუფრით, ნიკოლაძისეული ფოტოგალერეით, მანანა ლორთქიფანიძის, გია შუბლაძის და შორენა გვირჯიშვილის მხატვრული ტილოებითა და ყვავილებით მორთული ველოსიპედით, რაც "მისამართი" გახლდათ სამტრედიული "ეზო-კარისა", სამტრედიულად იწონებდა თავს სამტრედია.

იმერეთის გუბერნატორს, მის მოადგილეებსა და გუბერნიის სხვა პასუხისმგებელ პირებს, სტუმრები მოჰყვნენ, დელეგაციები ლატვიიდან, ლიტვადან, პოლონეთიდან.

ანა აბზიანიძესა და ბექა თევზაძეს, ჩინებულად მომღერალ სამტრედიელებს, ჩინებულად მომღერალმა გუბერნატორმა მისცა ბანი. მერე არღანიც აახმიანა. თუმცა, არა მხოლოდ მან, არღანმა იმ დღეს ბევრი მაღალჩინოსანი თუ ჩვეულებრივი დამთვალიერებელი დააინტერესა. იქამდე, სამტრედიის გამგებელსაც გაუხსნა მასზე დაკვრის მადა.

მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მხარის აბმით მოწყობილი ეს სანახაობა, როგორც კულტურის სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ აღნიშნა, სამტრედიული ხიბლით იყო გაჯერებული: "ვეცადეთ განსხვავებულად ინტელექტუალური და იმერეთისთვის დამახასიათებელი სითბოთი გამორჩეული ვყოფილიყავით. ამბობენ, რომ გამოგვივიდა. ვულოცავ ქუთაისს, სრულიად იმერეთს, მთელ საქართველოს. ბედნიერ, სადღესასწაულო დღეთა სიმრავლე და განწყობა დაბედებოდეს ჩვენს ქვეყანას."

იქვე დოლი და ზურნა "საჭიდაოს" უკრავდა. პირველობა სამტრედიელმა მოჭიდავეებმა არავის დაუთმეს. ევროპისა თუ სხვა ტიტულოვანი შეჯიბრებების არაერთგზის გამარჯვებულებმა, გიორგი ზაქარიაძე და გოჩა ზაქრაძე იმ დღის ფალავნები გახდნენ. მათი პრიზები ოვაციების საბაბი გახდა სამტრედიულ კუთხეში. გამარჯვებით ერთიორად გახარებულმა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ მათი წარმატებით დაიწყო და აღნიშნა, რომ "ქართული სიყვარულის ნიჭი ამ დღესასწაულებშიც ჩანს. ბევრი არაა ქვეყანა, სადაც ქალაქის დღესასწაულს აღნიშნავენ. ფუძე დაელოცოს იმერეთს, ქუთაისსა და სრულიად საქართველოს. გავმთლიანებულიყავით და გავძლიერებულიყავით."

მას შემდეგ, რაც ნიკო ნიკოლაძეს "ხელი ჩამოართვა", იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ ჯერ ამ დიდი ქართველის ღვაწლზე, დამსახურებასა და პირნათლად მოხდილ ვალზე ისაუბრა საკუთარი სამშობლოს წინაშე, ხოლო შემდეგ დღესასწაული მიულოცა იმერეთს, ქუთაისსა და სამტრედიას, რამეთუ "ეს არა მხოლოდ ქუთაისის, მთელი იმერეთის დღესასწაულია, სიყვარულის, ერთობის დღეა, დღეა იმისა, რომ უკეთესი ხვალე გაუთენდეს ქვეყანას."

იქვე მოწყობილ სცენაზე მხატვრული კოლექტივები სცვლიდნენ ერთმანეთს. სამტრედიიდანაც შეუერთდნენ მათ ბექა თევზაძე და ლეილუკა რუხაძე, მარი ტორონჯაძე და გვანცა არაბიძე.

მუხნარში ჩაფლული ზეიმობდა ქუთაისობას იმერეთის ყველა კუთხე. შიგ ქალაქში კი სიგიჟის უფლება მისცეს სიყვარულს. ისევე როგორც დასაბამიდან, იმ დღესაც ქუთაისობდა ქუთაისი!

ოკეანესობისკენ ერთად შევცვალოთ სამყარო

ნინო ნანიტაშვილი

8 მაისი წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის მსოფლიო დღეა. ამ დღეს, 1828 წლის 8 მაისს დაიბადა ანრი დიუნანი, შვეიცარიელი მეწარმე და საზოგადო მოღვაწე, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი. წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობას საფუძველი სწორედ ანრი დიუნანის ინიციატივით ჩაეყარა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალი გამოეხმაურა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობის მსოფლიო დღეს, ნათია პაპავამ თანამშრომლებს, წევრებსა და მოხალისეებს მიულოცა 8 მაისი, წრმატებები უსურვა და მოუწოდა, უკეთესობისაკენ ერთად შეცვალონ სამყარო.

კვირეულის ფარგლებში წითელი ჯვრის სამტრედიის ადგილობრივი ფილიალი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ახორციელებს დიაბეტის სკრინინგს "აკონტროლე დიაბეტი".

კვლევა მოიცავს სამ თემს. მელაურისა და საჯავახოს თემებში სკრინინგი ხორციელდება, რაც შეეხება მესამეს _ იგი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ იქნება შერჩეული.

ნათია პაპავა, წითელი ჯვრის ადგილობრივი ფილიალის აღმასრულებელი მდივანი: "დიაბეტი დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა, ამდენად მოსახლეობის ინტერესის სფეროს წარმოადგენს, აღმოაჩინოს და შემდგომ მიმართულება მისცეს ათეული ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების წესს. ვინაიდან სოფლის მოსახლეობა სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ ახერხებს სამედიცინო დაწესებულებებს მიმართონ, წითელი ჯვარი ცდილობს, იყოს შუალედური რგოლი მოსახლეობასა და შესაბამის სპეციალისტს შორის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები სხვადასხვა თემებში აცნობენ მოსახლეობას ზემოაღნიშნული აქციის შესახებ, რომლის შემდგომაც მომართვიანობა იზრდება. ჩვენ ადგილებზე ჩავდივართ, ამბულატორიის პირობებში ვაწარმოებთ შესაბამის სკრინინგს. მელაურის თემში კვლევა ჩაუტარდა 52 ბენეფიციარს და აღმოჩენილი იქნა 12 პირველადი შემთხვევა.

მორიგი აქცია საჯავახოს თემში იგეგმება. მადლობა მინდა, გადავუხადო ადგილობრივ მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოს განსაკუთრებით ვალერიანე ფოცხვერიას, რომელიც ყველა სოციალური ღონისძიების განხორციელებაში აქტიურად გვიჭერს მხარს".

სოფიო კიკაჩეიშვილი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი მელაურის თემში: "მოსახლეობა ძალიან კმაყოფილი დარჩა წითელი ჯვრის აქციით. მქონდა ინფორმაცია, რომ "აკონტროლე დიაბეტი" პროგრამის ფარგლებში ჩემი სოფლის მოსახლეობასაც მიუწვდებოდა ხელი, ინტერესის შემთხვევაში დაედგინა, განეკუთვნებოდა თუ არა აღნიშნული დაავადების რისკ ჯგუფს. რამდენიმეს ისეთს აღმოაჩნდა, რომელსაც არ აწუხებდათ და შესაბამისად არც იცოდნენ. მადლობა მინდა, გადავუხადო ქალბატონ ნათია პაპავას, წითელი ჯვრის ორგანიზაციის სამტრედიის ფილიალის" ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობას, შეჭირვებული მოსახლეობის მიმართ გამოხატული მზრუნველობისათვის".

ნათია პაპავას ინფორმაციით, უახლოეს მომავალში იგეგმება სოციალური ღონისძიება ექსკურსიის სახით, რომელსაც თავად წითელი ჯვრის ადგილობრივი ფილიალის მოხალისეები და ბენეფიციარები აირჩევენ.

მამა იყო, მამა!

თეა ბაბუნაშვილი

მას შემდეგ 72-ედ მოვიდა 9 მაისი. წლებს ბევრის დაფასება-გადაფასება შეუძლია და ერთ დროს საკუთარი სისხლის ფასად მოსული გამარჯვება, ტყვიას შეშვერილი მკერდით დაცული სამშობლო, არაერთი წელია ვისთვის როგორ სასაუბრო თემა გახდა. ის, რაც ნაწილისთვის აღტკინებით, სიამაყით, ცრემლით მოსაგონარია, სხვებისთვის ოკუპანტის სამშობლო და სხვის ომში უკვალოდ დაღვრილი სისხლია.

ამ გზაგასაყარზეა დღეს საქართველო. მედალიონი ორივე მხრიდან ტრიალით გაცვდა კიდეც. თუმცა, არავინ იცის, ვინ რას იტყვის, საკუთარი სისხლის დაღვრის და საყვარელი ადამიანის გარდაცვალების მაუწყებელი ნაცრისფერი ქაღალდის დანახვის შემდეგ. ამიტომ... მეორე სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალები, ისევ სიხარულის და ტკივილის ცრემლით ელიან ყვავილებს, მკერდზე ამაყად მიბნეული მედლებითა და ორდენებით მომავალ უკვე ჭაღარა "გოგო-ბიჭებს". დაღუპულთა შვილიშვილები თუ შვილთაშვილები კი ხსოვნის სადღეგრძელოს ისევ დაცლიან.

ამ წერილის გმირიც მეორე სამამულო ომში სამშობლოს იცავდა. რასაც მაშინ სამშობლო ერქვა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ იგია ამ წერილის გმირი, მთავარი "დამწერი", მისი ქალიშვილი გახლავთ, რომლის დიდი მონდომებითაც იწერება იგი და რომელიც დღესაც მონატრების ცრემლით საუბრობს მამაზე.

კიმოთე რევიშვილი დაფასებული კაცი ყოფილა სამტრედიაში. ეს მაშინ იყო, როცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იქმნებოდა. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, პირველი კოლმეურნეობა სამტრედიის სინამდვილეში, სწორედ მან შექმნა. მისი თავკაციც თავად იყო, სანამ ფეხზე არ დააყენა და წარმატებული არ გახადა. სახელიც, როგორც ძირითადად ხდებოდა მაშინ, დიდი ბელადისა შეერჩა.

პირველი სიძნელეების შემდეგ, ანუ მას მერე, რაც ოჯახებისთვის თითო თუ რამდენიმე სული პირუტყვის, მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის და კოლმეურნეობისთვის გადაცემის გულნაკლულობა გადაილახა, ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ახალსოფლიდან "ნოვისვეტამდე", აგრეთვე მელაურსა და ეწერში მცხოვრები ყველა ოჯახის დასაქმების ადგილი და შემოსავლის წყარო გახდა. დიადი კომუნიზმი ასე შენდებოდა და მისი ძალით ქალაქები თუ სოფლები მშვენდებოდა. მოწინავე გახლდათ ლენინის სახელობის კოლმეურნეობა შრომის ფრონტზე, თავს არ ზოგავდა მისი თავმჯდომარე, სანამ შრომის ფრონტიდან ბრძოლის ფრონტზე არ გადაინაცვლებდა. თუმცა, მანამდე, როგორც მოწინავე კომუნისტი, კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან სამტრედიის შინა ვაჭრობის უფროსად გადაიყვანეს.

1941-ში 30 წლისა იყო კიმოთე რევიშვილი. თავად გაუძღვა ჯარისკაცებს ბრძოლის ველზე. მამაცი ქართველი ჯარისკაცი რომ იყო, მისი პირველი ორდენით დასტურდება, ბრძოლაში რომ დაიმსახურა. მეორე ორდენი კი გარდაცვალების შემდეგ მიუნიჭებიათ მისთვის, თუმცა ამის შესახებ ოჯახმა დღემდე, ანუ მანამდე არ იცოდა, სანამ ერთ რუსულ საიტზე, რომელიც დიდ სამამულო ომში დაღუპულებსა და მის მონაწილეებს ეძღვნება, კიმოთე რევიშვილი მისმა შვილთაშვილმა არ აღმოაჩინა.

ბრძოლის ველზე მძიმედ დაჭრილი ჰოსპიტალში გარდაიცვალა. 1943 წელი იდგა. ტყვიით დაცხრილული პარტიის მანდატი მისი გარდაცვალების ცნობასთან ერთად მიიღო ოჯახმა. ქალბატონ მალინას, კიმოთეს ქალიშვილს, ახსოვს, რა ამბავი იყო მაშინ მათ წაბლის მასალით აშენებულ დიდ ეზო-კარში. აკივლებული ბებია და მამიდები, აცრემლებული მისი და-ძმა დღემდე არ ავიწყდება, თვალებიდან არ ამოდის, როგორ მოჰყავდათ გაკავებული მისი ლამაზი დედა. მერე სულ ტიროდა ბებია: ალბათ იმიტომ იყო ასე ხანმოკლე შენი სიცოცხლე, რომ კოლმეურნეობისთვის ქონების ნაწილი ჩამოართვი ხალხს, თორემ შენი ნაწყენი კაცი არ უნახავს არავის, ყველას შემწე და ხელის გამმართავი იყავიო. ოთხი დისთვის ერთადერთი ძმა იყო კიმოთე რევიშვილი და ძალიან განიცდიდნენ მის დაღუპვას.

ლამაზი ქალიაო, ჩემი ლენა. თუ მოვკვდი მაგას გაუთხოვარს ვინ დატოვებსო. ბავშვები გამიზარდეთო, ქუჩაში არ დამიყაროთ, თითომ თითო წაიყვანეთო. _ წერდა დებს ერთ ფრონტულ წერილში. ბოლომდე უერთგულა მეუღლემ კიმოთე რევიშვილს. ძაძებში გაატარა მთელი ცხოვრება ახალგაზრდა, ლამაზმა ქვრივმა ლენა გოგაძემ. ოთხი შვილი გაზარდა, იმ მძიმე წლებში განათლება მისცა და ყველა მათგანს საუკეთესო ოჯახები შეაქმნევინა.

წერილებს კი, წერილებს, ხშირად რომ იწერებოდა მამა, ფრონტულ ამბებთან ერთად დიდი სითბო, სიყვარული და ოჯახის მონატრება მოჰყვებოდა. ინახავდნენ ყველა ფურცელს, მამის და საყვარელი ქმრის სურნელი რომ მოჰქონდა ტყვიის ქარცეცხლიანი ბრძოლებიდან. მერე ერთიანად დაწვეს. და იმიტომ, რომ ყველა ჯერზე ცრემლით კითხულობდა მათ მალინა რევიშვილი, კითხულობდა ხშირად, დაასრულებდა და ისევ თავიდან იწყებდა კითხვას. მერე გული ამოუჯდებოდა და... ექიმმა უთხრა დედას, გაანადგურეთ, ემოციებმა შეიძლება ჭკუიდან შეშალოსო. _ იხსენებს მისი ქალიშვილი. მას მერე წლები გავიდა, არა ერთი და ორი, 70-ზე მეტი, მაგრამ მამის წერილების სითბო ახლაც ცრემლებად სდით თვალებს. ემოციები თავს ვერ მალავენ და უკვე ჭარმაგი ქალი პატარა გოგოს მონატრებით საუბრობს მამაზე.

კიდევ რა ახსოვს ამ წერილის თანაავტორს? ახსოვს ის ბნელი ღამე, დაძინებული და-ძმა კარზე კაკუნმა რომ გაიღვიძა. დედის შეშინებული სახე და გაბზარული "რომელი ხარ!"

მამა იყო, მამა! ერთად გამოფხიზლდა ოთხივე შვილი, კაბაში ცალი ხელის გაყრა მოესწრო ბებიას, სიხარულისგან სახე შეშლოდა დედას. მამა იყო... მაშინ ნანახი მამის სახე ლანდად შემორჩა გონებას. კიდევ ის ახსოვს, მის ძმაზე რომ მშობიარობდა დედა, ფართო მკერდზე მიიკრა მამამ დედის კივილით შეშინებული.

და კიდევ რა?! ის, რომ ხელსახოცში გახვეული შაქარი ყოველ თვეში მოდიოდათ ფრონტიდან. მამა უშაქროდ სვამდა ჩაის, მისთვის განკუთვნილ შაქარს კი ოჯახს და შვილებს უგზავნიდა.

წელი წელს მისდევდა. ომი დასრულდა და შვილებიც დაიზარდნენ. მამის შრომისმოყვარეობა გენში ედოთ მის შვილებს. სასახელო ქალბატონი გაიზარდა ობოლი გოგოსგან. მალინა რევიშვილი სამტრედიელი მოწინავე მშრომელების რიგებში იდგა. პოლიტექნიკური ტექნიკუმის დასრულების შემდეგ ჯერ ქუთაისში მეოთხე სამკერვალო ფაბრიკაში, შემდეგ კი სამტრედიის ახლად აშენებულ სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ჯერ ისევ 19 წლისა იყო, თავდადებული შრომისთვის ლოზუნგად რომ გამოაკრეს ქუთაისში, მის ფაბრიკაში, მივბაძოთ მალინა რევიშვილს. როგორც პარტიის წევრსა და კარგ კომუნისტს, სიგელი მოსკოვიდანაც კი ჩამოუვიდა. მერე კომუნისტური პარტიის ბიუროს წევრიც გახდა. როგორც შეეფერებოდა, ოჯახიც სასახელო შექმნა და შვილებიც შრომისმოყვარენი აღზარდა.

ახლაც, შეხედულებებშეცვლილ ამ ცივილიზაციაში, საამაყოა მალინა რევიშვილისთვის კიმოთე რევიშვილის შვილობა, მისი და-ძმების დედმამიშვილობა და დიდი ოჯახის დედობა. 9 მაისი მოდიოდა და მონატრების ცრემლმა მამა გაახსენა. ეს ამ თაობის ტკივილია, მათი სიყვარულია და გულში მიყუჩებულ ამ იარას სხვათა ახლებური შეხედულებები ვერაფრით გაუნელებს ტკივილს.

სამი მებრძოლი ძმის ისტორია

მარჯვნიდან მეოთხე დავით ჩაჩავა, მარჯვნიდან მარცხნივ მესამე დგას ძმაღნაფიცი ბორია ჩაჩავა.

სამოცდათორმეტი წელი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან და საბჭოთა ხალხის ფაშიზმზე ძლევამოსილი გამარჯვებიდან.

აბაშელი მშრომელი გლეხკაცის სიმონ ჩაჩავას ოჯახიდან დიდ სამამულო ომში სამი ძმა გაიწვიეს. ბატონი დავითი, სამამულო ომის ინვალიდი, მოკლე ჩანაწერებს აკეთებდა თავის უბნის წიგნაკში. ეს იყო ყოფილი ჯარისკაცის ბრძოლის ისტორია, დიდი სამამულო ომის ცოცხალი ნაწილი: "ოჯახში ხუთი შვილი ვიზრდებოდით, ერთი და და ოთხი ძმა. უფროსი ძმა გრიშა (გრიგოლი) ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს წითელ არმიაში და მალე ის უკრაინის პირველ ფრონტზე მოხვდა...

მე გამიწვიეს ორმოცდაერთი წლის დეკემბერში... კრასნოვოდში. შემდეგ მალე გავემგზავრე ქალაქ ვლადივოსტოკში, ეს იყო 1942 წლის ბოლოს. ამავე წელს გადმომიყვანეს ქ. მოსკოვის გარეუბანში ქალაქ ვლადიმირში, სადაც მიგვაბარეს სატანკო სკოლაში. სკოლა დავამთავრე ზემდეგის ჩინით. ჩაგვაბარეს ტანკი "34-121". წავედით საბრძოლველად მოსკოვის მიმართულებით. ამ ბრძოლებში ჩვენმა ეკიპაჟმა თავი ისახელა. მტრის ორი ტანკი გამოვიყვანეთ მწყობრიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ტანკი დაიწვა. მე და "რადისტი" გადავრჩით, სამნი ჩაიფერფლნენ. შემდეგ გადამიყვანეს მძიმე არტილერიის მსროლელად ლენინგრადის მისადგომებთან". _ უცრემლოდ ვერ იგონებდა ბატონი დავითი ომის მძიმე ეპიზოდებს. _ "ორმოცდაოთხი წლის 25 იანვარს დავიჭერი ქალაქ პუშკინოში და ლენინგრადის ჰოსპიტალში მომათავსეს. გამოჯანმრთელების შემდეგ მალე გამიწვიეს ფრონტზე ქ. ბილკალინში".

1945 წლის 18 იანვარს ისევ დაიჭრა იგი, განკურნების შემდეგ გადაიყვანეს აღმოსავლეთ პრუსიაში, 124-ე წითელ-დროშოვან მინსკის დივიზიაში გენერალ პაპჩენკოს მეთაურობით. მის გვერდით იბრძოდა, სამტრედიელი ექიმი, პოლკოვნიკი ალექსანდრე (საშა) სახამბერიძე.

"კენისბერგის განთავისუფლების შემდეგ იბრძოდა ქ. პილოვის მიმართულებით. 1945 წლის 14 აპრილს მესამედ დაიჭრა. ბრძოლებში მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და მედალი.

"დედა ნადიამ იმარჯვა და სამივე ძმა ერთმანეთს დაგვაკავშირა ე. წ. ფრონტული სამკუთხა წერილებით. _ იგონებდა ბატონი დავითი. _ "უფროსმა ძმამ გრიშამ წერილების წერა მალე შეწყვიტა უკრაინის პირველი ფრონტიდან. იგი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. უმცროს ძმა ილუშასთან დიდხანს მქონდა მიმოწერა, ერთმანეთს ვულოცავდით მტერზე გამარჯვებას და შინ მშვიდობით დაბრუნებას, მაგრამ არც ეს მოხდა. 1947 წლის 19 ნოემბერს ლიტვის მიწაზე ქ. პონოვეუში ლიტველი "ბენდერების" წინააღმდეგ ჩატარებული მძიმე ოპერაციების დროს დაეცა. როგორც თავდადებული პატრიოტი და სამაგალითო საბჭოთა ჯარისკაცი დაკრძალული იქნა ქ. პონოვეუში ძმათა სასაფლაოზე. აი, მხოლოდ ერთადერთი სამკუთხა ბარათი ილუშას მიერ ფრონტიდან მოწერილი:

"სალამი ძმაო დათიკო!

უპირველეს ყოვლისა, ვიღებ საწერკალამს და გიძღვნი შორიდან კოცნას, ახალგაზრდულ სალამს. სხვა დათიკო, როგორ გიკითხოთ, ხომ კარგად? რა თქმა უნდა, კარგად იქნები. და მეც ვთხოვ ბუნების ძალას შენს კარგად ყოფნას. იცოცხლე სანამ შენს გულს უნდოდეს.

ძმაო დათიკო, მოკითხვა გადაეცი მამაჩემს, დედას, ჭოლას, ლუბას, ნანულის, ბორიკას და ყველა მეზობელს და ნათესავს. ძმაო დათიკო, აბაშა არის თუ არა ძველებურად. შეიძლება, ჩვენც გავიაროთ აბაშის ქუჩებში. ნუ გეშინიათ, ომიანობამ ხელი შეგვიშალა, მაგრამ რას იზამ. გერმანელებს და იაპონელებს ხომ დაუტეხა ცხვირი და კიდევ სხვებსაც დაუტეხს ცხვირს თუ დასჭირდა, ჩვენი წითელი არმია... ჩვენ კარგად ვართ, არა გვიშავს ვცხოვრობთ ჯერ-ჯერობით. დურუ, ვალიკო, ოთარი და სხვა ქართველი და რუსის ბიჭები.

ჩვენ სადაც ვიყავით, იქ ვართ ლიტვაში "გოროდ" პანევეუში. სხვა მეტი რა მოგწერო. იცოდე მომწერეთ თქვენი ამბავი როგორ არის და როგორ ცხოვრობთ. დღეს ვწერ ამ უშინაარსო წერილს, მაგრამ იმედია, წაიკითხავთ გაგვიხსენებთ. წერილი მომწერეთ. გწერს შენი უმცროსი ძმა ილუშა.

19.10.03 46 წელი".

1945 წლის დეკემბრის ბოლოს ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა ჩაჩავა საქართველოში. დედის თხოვნით, 1947 წელს შორეული ლიტვიდან ჩამოასვენა ძმის, ილუშას ნეშტი.

სურათი, რომელიც აქაა წარმოდგენილი სწორედ ლიტვაში ძმათა სასაფლაოზეა გადაღებული 1947 წელს.

ბატონი დავითი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მაშინდელ ამერკაკასიის რკინიგზის გასამხედროებულ დაცვაში, როგორც ომისა და შრომის ვეტერანს მიღებული აქვს მრავალი ორდენი და მედალი, 1998 წლის 22 იანვარს იგი 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია აბაშაში.

მოამზადა მერაბ ჩაჩავამ

“მეტი ტრუბადურული მანევრი რეგიონებში!”

ნათია ნაცვლიშვილი

გასული საუკუნის პარიზში, მდინარე სენის მარცხენა სანაპიროზე მდებარე “Gafe de Flore”-ში (ფლორას კაფე) საფრანგეთში მცხოვრებმა სამტრედიელმა ბაჩანა ჩაბრაძემ შეგვახედა, როცა ფრანგული შანსონის ხუთივე გრანდის _ ჟორჟ ბრასენსის, ლეო ფერეს, ჟაკ ბრელის, სერჟ გენსბურისა და ბორის ვიანის შემოქმედება თარგმნა. მან ქართველ მკითხველს მისცა საშუალება, ეზიაროს ამ ავტორ-კომპოზიტორ-შემსრულებელთა თავისუფლების პოეზიას, რომელსაც დრო და საზღვრები ვერ ფარგლავს. ყვითელყდიანი კრებულის “ფრანგული შანსონი” პოპულარობა დღითიდღე იზრდება, მისი პრეზენტაცია მრავალგან მოეწყო, არაერთი ტელევადაცემა მიეძღვნა და არაერთმა კრიტიკოსმა მიიჩნია წიგნი საუკეთესო გამოცემად. ამჯერად ფლორას კაფედან გამოსული თავისუფლების პოეზიის მძაფრი სურნელი სამტრედიის პირველ საჯარო სკოლაშიც შემოიჭრა.

ბაჩანა ჩაბრაძის მშობლიურ ქალაქში ისევე არ უდგას გაზაფხული ფრანგულ ენას, როგორც ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ პირველ სკოლაში ფრანგული ისწავლება, როგორც მეორე უცხო ენა და არჩევითი საგანი. ამ სიკეთის დამსახურებაა, რომ ფრანგული ენის პედაგოგმა ირმა ვაშაკიძემ და მისმა მოსწავლეებმა შესანიშნავი ლიტერატურული საღამო გამართეს და კრებულის წარდგინება მოაწყვეს. საღამოს კი წინ უძღოდა ფრანკოფონიის კვირეულის ფარგლებში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე, ამავე პედაგოგის მოხსენება თემაზე: “ბაჩანა ჩაბრაძე და ფრანგული შანსონი.” “გავბედეთ და გთავაზობთ ფლორას კაფეს იმპროვიზაციას, სადაც დუღდა და გადადუღდა კულტურული ცხოვრება, აქ იკრიბებოდა პარიზული კულტურის ბომონდი, სწორედ აქ გადაიკვეთა ამ შანსონიეების გზები, ეს მომღერლები, უპირველეს ყოვლისა, პოეტები არიან, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ტექსტს და ზღვარს შლიან პოეზიასა და სიმღერას შორის.” _ პედაგოგმა ამ სიტყვებით დაიწყო საღამო და მრავალრიცხოვანი დარბაზი თბილ და სიყვარულით დამუხტულ სამყაროში სამოგზაუროდ განაწყო. მოსწავლეებმა მიმოიხილეს ბაჩანა ჩაბრაძის ბიოგრაფია, ის 20 წელია საფრანგეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. თუკი ღონისძიების დაწყებამდე დარბაზში იყო ისეთი ვინმე, ვინც მხოლოდ ღრმა და ფილოსოფიური ლექსების ავტორ ბაჩანა ჩაბრაძეს იცნობდა, საღამოს შემდეგ დარწმუნდებოდა, რომ საფრანგეთის ცის ქვეშ ცხოვრობს ნიჭიერი ქართველი პოეტი, მთარგმნელი, საერთაშორისო კლასიფიკაციის მოჭადრაკე. ის ყოველწლიურად თამაშობს საფრანგეთის გუნდურ საკლუბო ჩემპიონატსა და საერთაშორისო ტურნირებში, რომლებშიც საქართველოს სახელით გამოდის... ბაჩანა არის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვახუშტი კოტეტიშვილის პრემიების ლაურეატი. მოსწავლეებმა ვრცლად დახატეს ხუთივე ავტორ-კომპოზიტორ-შემსრულებლის პორტრეტი, ამ “შეამბოხეთა” ლექსები განცდითა და ემოციით წაიკითხეს ქართულ და ფრანგულ ენებზე. დარბაზში არაერთხელ გაისმა ამ შანსონიეთა ხმა, მსმენელმა აპლოდისმენტები არც ბაჩანა ჩაბრაძის სიმღერის მიმართ დაიშურა, რომელმაც ბრასენსის “ცუდი რეპუტაცია” შეასრულა. ჰიტებად ქცეული ფრანგული სიმღერები კი სკოლის მოსწავლეებმა სალომე თევზაძემ, ანა სიხარულიძემ და მარიამ მსხილაძემ შეასრულეს. კედლებს სკოლის მოსწავლის, ირაკლი ცინცაძის საინტერესო ილუსტრაციები ამშვენებდა. ბაჩანა სკაიპით ჩაერთო საფრანგეთიდან და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ავტორსა და მონაწილეებს. “სამტრედიის მაცნეს” კი განუცხადა: “ის ფაქტი, რომ სამტრედიის პირველ სკოლაში “ფრანგულ შანსონს საღამო მიეძღვნა, განსაკუთრებით მახარებს. ამ კრებულის ირგვლივ მკითხველი არაერთხელ შეკრებილა პარიზში, თბილისსა თუ ქუთაისში, სასწავლო დაწესებულებებსა თუ კაფეებში... მაგრამ ჩემთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანია, რომ მასზე ჩემს დედულეთში ილაპარაკეს! მეტიც, შანსონის რეგიონებში გატანა და მისით ახალგაზრდების (თუ ნაკლებად ახალგაზრდების) დაინტერესება პირდაპირ კავშირშია ამ ჟანრის თავდაპირველ არსთან, რაც სიმღერის საშუალებით პოეზიის ფართო მკითხველამდე მიტანაში მდგომარეობს. შანსონი ხომ თავისუფლების პოეზიაა, რომელიც ადგილმდებარეობისა თუ ეპოქების მიუხედავად, ზოგადად ადამიანს ეძღვნება. მეტი ტრუბადურული მანევრი რეგიონებში! მადლობას ვუხდი სკოლის მოსწავლეებსა და მათ პედაგოგს, საღამოს ორგანიზატორს ირმა ვაშაკიძეს (რომელიც შანსონის შესახებ სამეცნიერო კვლევის ავტორიცაა) ფრანგული სიმღერის უმნიშვნელოვანესი ეპოქის გაცოცხლებისათვის!”

ბაჩანა ჩაბრაძის მისამართით თბილი სიტყვები არ დაიშურეს მშობლიური ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. სიტყვით გამოვიდნენ ილორის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, ნარგიზ გოგია, აბაშის რაიონის პირველი მაისის სკოლის პედაგოგი რუსუდან გიგინეიშვილი, პედაგოგი ელზა ცხვირავაშვილი (ამჯერად საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი), მომღერალი ალექსანდრე კრავეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური, მეათე საჯარო სკოლის პედაგოგი, დალი ღამბაშიძე და პირველი სკოლის დირექტორი ხათუნა ფაილაძე. ირმა ვაშაკიძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორს და აღნიშნა, ღონისძიება არ გაიმართებოდა, ფრანგულისადმი ქალბატონი ხათუნას მხარდაჭერა რომ არაო... და მაინც, დარბაზში ყველაზე ბედნიერი და ამაყი პოეტის დედა იყო, ფრანგული ენის პედაგოგი გულიკო ჩაბრაძე, რომელიც შვილის ხოტბა-დიდებას თვალცრემლიანი ისმენდა. მან ის ახალი ლიტერატურული გამოცემები გააცნო საღამოს მონაწილეებს, რომლებშიც ბაჩანა ჩაბრაძის თარგმანები შევიდა. ესენია: “პოეტური თარგმანის ანთოლოგია,” რომელიც ალექსანდრე ელერდაშვილმა გამოსცა და მერაბ ფიფიას მიერ თარგმნილი გარის “ევროპული აღზრდა” და იურსენარის “ადრიანეს მოგონებები”, რომლებშიც ჩართული ლექსების თარგმანი ბაჩანამ შეასრულა.

“გაზაფხული შემოსულა ლენ”

ნათია ნაცვლიშვილი

თვალებშიც გაზაფხული უდგათ და გულებშიც ამ გოგობიჭებს, სიცოცხლე ხმიანობს სცენაზე, პაწაწინებიც და მოზრდილებიც დამუხტულნი არიან ხალისით, სიყვარულით და ოცნებით... ქართულ გაზაფხულს ორიგინალურად ეგებებიან მუნიციპალიტეტის მეორე საჯარო სკოლაში (დირექტორი თეა კარტოზია). მურმან ლებანიძის უკვდავ ლექსზე შექმნილი “გაზაფხული შემოსულა ლენ” განწყობას გიმაღლებს და გაგაზაფხულებს.

დარბაზი ცინცხალ ფერებში მორთულა, უამრავი ყვავილია, პეპლები თითქოს აქვე ფრენენ. ამ მოსწავლეებისა და პედაგოგის შრომისა და ხელგარჯილობის შედეგია ეს ლამაზი დარბაზი... ქართული ლექსი ხმიანობს, სიმღერა ჟღერს, ქართულს უცხოური ცეკვა ენაცვლება. წამყვანები მარიამ ფილიშვილი და ნიკოლოზ გუგუციძე ცეკვითაც გვხიბლავენ, ლექსითა და სიმღერითაც. ისინი სათითაოდ იწვევენ სცენაზე ყველა ყვავილს, რომელიც გაზაფხულს ამშვენებს. ყველა მოსწავლე შესაბამისად კოსტიუმირებულია, კოლხური ვარდიც აქ არის, ეშხიანი ყაყაჩოც, ყვითელგულა გვირილაც, უმორცხვესი ლურჯი იაც, შროშანიც, მაგნოლიაც, ენძელაცა და უმშვენიერესი ყოჩივარდაც... ჭიამაიაც მოსულა, მწვანე მოლის სამოსიც მოუსხამს ლამაზ გოგონას, ერთი გოგოს კაბა სპექტრის ფერებს იმეორებს... და მზეც დაპირებას გვაძლევს, რომ უფრო გაათბობს და გაასხივოსნებს ქვეყანას. სხვანაირად აბა როგორ! საქართველოში ხომ მზის საგალობელს, ლილეოს მღერიან!

“გაზაფხული შემოსულა ლენ”_ ასეთი სახელწოდება აქვს ღონისძიებას, რომელიც მუსიკის პედაგოგმა ლალი ჩაჩუამ მოამზადა. მასში პირველიდან მეცხრე კლასის ჩათვლით ყველა კლასი ჩაერთო. როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული ნიჭიერება მოსწავლეებმა სიმღერაში გამოავლინეს და საუკეთესო ვოკალური ნომრები შემოგვთავაზეს. მუსიკალურ-მხატვრული საღამო დასრულდა. მისი უდიდებულესობა გაზაფხული სულშიც მძლავრობდა

და სკოლის ეზოში მქროლავ ნიავშიც. ასეთი ემოცია კი სკოლიდან გამოსვლის შემდეგ დაგვრჩა...

სამტრედიის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები _ საალდგომო გამოფენის მონაწილეები

ნათია ნაცვლიშვილი

29 აპრილს სამების საკათედრო ტაძრის საგამოფენო დარბაზში, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური ცენტრისა და კომპანია "STUDIA-N" ის ორგანიზებით მოეწყო საალდგომო გამოფენა სახელწოდებით "სხივი". გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა. იყვნენ ამბროლაურიდან, ახალციხიდან, ონიდან, ხონიდან, ლენტეხიდან, ოზურგეთიდან... გამოიფინა სამტრედიის სამხატვრო სკოლის 26 მოსწავლის ნამუშევრები.

თითოეულმა თითო ნახატი წარმოადგინა. აქცენტი გადატანილი იყო საალდგომო თემატიკაზე, იყო თავისუფალ თემაზე ნამუშევრებიც. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები თითქმის ყველა ჟანრში. ექსპოზიციამ ერთ დღეს გასტანა. გამოფენის მონაწილეებს მიესალმა კომპანია " STUDIA-N"- ის გენერალური დირექტორი, ნელი მჟავანაძე, რომელმაც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და წარმატებები უსურვა გამოფენის მონაწილეებს. სამტრედიის სამხატვრო სკოლის დირექტორი ნინო ნინუა დაჯილდოვდა სერტიფიკატით და დიპლომით, დიპლომები გადაეცათ სკოლების პედაგოგებს, ასევე დიპლომები გადაეცა გამოფენის ყველა მონაწილეს. მათ ასევე გადაეცათ იერუსალიმიდან ჩამოტანილი ხატები და სანთლები.

ნინო ნინუა: "მადლობა მინდა გადავუხადო ამ ღონისძიების ორგანიზატორებს, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური ცენტრის ხელმძღვანელობას, დედა თამარს, კომპანია "STUDIA-N"-ის გენერალურ დირექტორს ნელი მჟავანაძეს და ანი მატევოსიანს არაჩვეულებრივი და ღირსეული დახვედრისათვის. ვფიქრობ, ძალზედ დროული, აუცილებელი და ბევრის მომცემი იყო ეს გამოფენა ჩვენი მოსწავლეებისათვის, თითოეული მონაწილის სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებისათვის. განსაკუთრებული სიხარულით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ დამთვალიერებელთა შორის იყვნენ სასულიერო პირები, რომელთა მოწონებაც დაიმსახურა ჩვენი სკოლის მოსწავლეების, ზურა გერაძის, თორნიკე ტაბიძისა და გურამ ტალაბაძის რელიგიურ თემებზე შესრულებულმა ნამუშევრებმა. კერძოდ, მათ წარმოადგინეს უფლის, ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ხატები. მინდა თითოეულ მოსწავლეს ვუსურვო, მათ შემოქმედებას ადგილი დაემკვიდრებინოს ღირსეულ ქართველ ხელოვანთა გვერდით, რომელთაც საქართველოს სახელი და დიდება მის ფარგლებს გარეთ გაიტანეს. მადლობას ვუხდი ჩემს კოლეგებს, სამხატვრო სკოლის პედაგოგებს იაგო ჩხიკვაძეს, თეონა გეგუჩაძეს, მარინა ყენიას, თამილა გიგინეიშვილს და ზაზა ღურბელეიშვილს გაწეული შრომისათვის".

ტრადიციული გამარჯვება

2017 წლის 29-30 აპრილს ქალაქ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის, რომლის ორგანიზატორი საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს დოს ფედერაცია (ფედერაციის პრეზიდენტი სენსეი ანზორ ჩუბინიძე) იყო.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ქალაქებისა და რაიონების კიოკუშინკაი კარატეს წარმომადგენლები. მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები (დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია).

ტრადიციულად წარმატებით იასპარეზეს სამტრედიელმა კარატისტებმა.

13-14 წლის ვაჟებში 55 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა მურმან დერბიშმა. ასევე, 13-14 წლის გოგონებში, 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მანანა მუქერიამ.

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.

სამომავლოდ სამტრედიელი კარატისტები, მანანა მუქერია და მარიამ გოგიტაური სენსეი მიხეილ ქანთარიას ხელმძღვანელობით 27-28 მაისს მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონატში, რომელიც რუმინეთის რესპუბლიკის ქალაქ ტულკიაში გაიმართება.

"სამტრედიის მაცნე"

ნორჩ ძიუდოისტთა წარმატებები

4 და 5 მაისს ქალაქ ზესტაფონში ჩატარდა პირველი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის. მასში მონაწილეობდნენ ქალაქებისა და რაიონების ძიუდოისტები. მათ შორის იყვნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) აღსაზრდელები.

შეჯიბრება პირადი პირველობით წარიმართა. 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში 5 გამარჯვებით ჩემპიონი გახდა 14 წლის თემურ დარსაველიძე. მეორე ადგილს, 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში, დაეუფლა 14 წლის პავლე ფესვიანიძე. მესამე საპრიზო ადგილზე, 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში, გავიდა 14 წლის ლუკა წიქვაძე.

ავთანდილ, თარგამაძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა-ძიუდოში: "სამივე მათგანი ჭიდაობა ძიუდოში 10 წლის ასაკიდან იწვრთნება. ისინი თავიდანვე გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობით, დისციპლინითა და მიზანდასახულობით, რაც აღნიშნულ სპორტის სახეობაში ძალიან კარგი მაჩვენებელია. შედეგმაც არ დააყოვნა. ზესტაფონი არ არის პირველი _ მათ არაერთხელ გაუმარჯვნიათ სამხარეო, ზონალურ, თუ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით, ახალგაზრდა პერსპექტიულ მწვრთნელს, ბესარიონ შვანგირაძეს მივულოცო მისი აღზრდილების შედეგი და აქვე, იმედს გამოვთქვამ, ბესარიონის ხელმძღვანელობით არაერთ მნიშვნელოვან შედეგებთან გვექნება კავშირი".

თემურ დარსაველიძე, პავლე ფესვიანიძე და ლუკა წიქვაძე მომავალი წლიდან მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც გახდება შესარჩევი ეტაპი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ასპარეზობისათვის.

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის ფეხბურთის ისტორიიდან

1920 წელს გიორგი ნიკოლაძე "შევარდენის" წევრებთან ერთად მშობლიურ დიდ ჯიხაიშს ეწვია. ამ დროს სკოლის ეზოში და სერგეთის მინდორზე შორტებით გამოსულმა სპორტსმენებმა დიდი ჯიხაიშელების ყურადღება მიიპყრეს. მათ ფეხბურთი ადგილობრივ მოსახლეობას გააცნეს და შეაყვარეს.

1920-იან წლებში სამტრედიელებს ფეხბურთის მოედანი არ ჰქონდათ, ამიტომ სამტრედიის რკინიგზელთა გუნდმა 1924 წლის აგვისტოში, ახალსენაკელ კომკავშირელებთან, სამტრედიიდან ერთნახევარი ვერსის დაშორებით, ეკლესიის ეზოში გამართა შეჯიბრება. "17 აგვისტოს საღამოს 6 საათზე შეჯიბრი თამაში დაიწყო მისალმებით. დაესწრო დიდძალი ხალხი. ფეხბურთელების თამაშმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ხალხზე. შეჯიბრი ჩატარდა კარგად". _ იუწყებოდა კორესპონდენტი ევგენი.

1925 წელს სამტრედიელებმა იმერეთის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავეს. მათ ზესტაფონის გუნდს ანგარიშით 4:1 მოუგეს, ხოლო ქუთაისთან, 0:1 წააგეს. შემდეგ წელს სამტრედიელებმა ქუთაისელებთან ფრედ (2:2) დაასრულეს შეხვედრა.

1926 წელს სამტრედიელმა ფეხბურთელებმა ამხანაგურ შეხვედრაში მოუგეს ფოთის რკინიგზელთა გუნდს (5:1) და ასეთივე შეხვედრა თბილისელებთანაც წარმატებით დაასრულეს (4:1).

სამტრედიელი ვეტერანი კომკავშირელი დ. გიორგაძე იხსენებდა: "თუ 1925 წელს ფიზკულტურული მუშაობა ტანვარჯიშით განისაზღვრებოდა, 1927 წლისთვის უკვე გვყავდა ფეხბურთელთა გუნდი, მძლეოსანთა, მოჭიდავეთა და სხვა სახის სექციები და წრეები".

1930-იანი წლებში სამტრედიაში ფეხბურთის განვითარება იწყება და ამაში წვლილი ი. შენგელიას, ჟ. კახიანს, ს. ჯაკობიას, ვ. კუბლაშვილს, ვ. კაჭარავას, ე. ნიჟარაძეს, ბ. და პ. ჭანჭალეიშვილებს, ნ. დუნდუას, ს. ერქვანიძეს, ი. ტოფაძეს, დ. სოლომონიძეს, ბ. ამაღლობელს, გ. მურღულაიას და ძმებ ფიოლიებს მიუძღოდათ. ამ დროს სამტრედიაში ფეხბურთი ისეთი პოპულარული სპორტია, რომ მოულოდნელად გარდაცვლილი მეკარე ბენია თევზაძე მთელმა სამტრედიამ დაიტირა. ბენია თევზაძის დაკრძალვას დაესწრო გივი მურღულაიაც. ის 1934 წელს სამტრედიაში შექმნილი ბავშვთა გუნდის წევრი იყო და სამტრედიის ნაკრების შემადგენლობაშიც გამოდიოდა მეკარე ვასიკო კუბლაშვილის ნაცვლად.

1937-1938 წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის ფეხბურთელთა პირველობაზე ბაქოსა და ერევანში სამტრედიელებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ამ დროს გუნდში ირიცხებოდნენ: ლ. პაპავა, ჟ. პაპავა, ჟ. ლორთქიფანიძე, ბ. ცაგურია და სხვა.

1938 წელს საქართველოს პირველობაზე სამტრედიელებმა ქუთაისში ანგარიში 2:1 მოუგეს ადგილობრივ "დინამოს". გოლები გაიტანეს მ. მენაბდემ და ბ. ცაგურიამ. 1939 წელს სამტრედიელი ფეხბურთელები საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და უმეტესი მათგანი მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაიღუპა. ლეო და ჟორა პაპავები, ჟორა ახობაძე, შალვა ნიკოლეიშვილი, კვარანა ბაბუნაშვილი, შუტუ მიგინეიშვილი, ანდრო ისლანტიევი, ვასო ცაგარეიშვილი მშობლიურ სამტრედიას აღარ დაუბრუნდნენ.

სამტრედიის "დინამო" საქართველოს პირველობის პირველ ჯგუფში 1949 წლამდე ასპარეზობდა. შემდეგ სპორტსაზოგადოება "დინამო" სამტრედიაში გაუქმდა და გუნდი მეორე ჯგუფში სამტრედიის ნაკრების სახელით ასპარეზობდა (1970 წლის მონაცემებით სამტრედიაში სპორტსაზოგადოებები "განთიადი", "კოლმეურნე", "ლოკომოტივი" და "სპარტაკი" ფუნქციონირებდნენ).

1956 წელს სამტრედიის ნაკრები საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და 1957 წელს პირველ ჯგუფში თბილისის "ლოკომოტივის" ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ სამტრედიის ნაკრებს სამტრედიის "ლოკომოტივი" ეწოდებოდა. 1956 წლის აგვისტოში სამტრედიის ნაკრების მწვრთნელი გ. იმნაიშვილი წერდა: "ჩვენს რაიონს ფეხბურთელთა ხეირიანი გუნდი არ ჰყავდა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრიდან დაიწყო სერიოზული მუშაობა. გუნდის შემადგენლობისათვის შერჩეული იქნა ამ საქმით დაინტერესებული, დისციპლინიანი ახალგაზრდები. მათი წვრთნა მონდომებით დავიწყეთ სპორტულ დარბაზში, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მოთამაშეთა ფიზიკურ მომზადებას. ტექნიკური ელემენტების ღრმად დაუფლებას. მიმდინარე წლის მარტიდან გუნდი სავარჯიშოდ გადავიყვანეთ ღია ცის ქვეშ და მოკლე პერიოდში თითოეულმა მოთამაშემ სათანადო წრთვნა მიიღო".

1957 წელს საქართველოს პირველობის პირველ ჯგუფში ასპარეზობდნენ სამტრედიის "ლოკომოტივი", "თბილისის "ტტს", "თბილისის "ბურევესტნიკი", თბილისის 26 კომისრების რაიონი, ქობულეთის "კოლმეურნე", რუსთავის "მეტალურგი", ბათუმის "დინამო", გორის "დინამო", მახარაძის (ოზურგეთის) "კოლმეურნე", ფოთის "ვოდნიკი", ლანჩხუთის "კოლმეურნე", სოხუმის "დინამო", ქუთაისის "დინამო", ქუთაისის "ტორპედო". თავიდან სამტრედიის "ლოკომოტივი" მოედანზე მწვრთნელ გ. იმნაიშვილს გამოჰყავდა. შემდეგ ის გუნდის ყოფილმა მოთამაშემ _ შოთა გიგილაშვილმა შეცვალა. ამ დროს გუნდის ღირსებას იცავდნენ: ნ. დოლიძე, ჯ. გაბუნია, კ. კოხრეიძე, შ. სიჭინავა, გ. ნუცუბიძე, მ. ასრატოვი, ნ. კუჭუხიძე, რ. ტორონჯაძე, შ. ჭრელაშვილი, ჯ. ხაჟალია, ბ. ყურულაშვილი, ვ. მამფორია, ლ. ფირცხალავა, ო. ნიკურაძე, ჟ. შენგელია, ვ. ბახტაძე.

1961 წლის სეზონის ბოლოს სამტრედიის "ლოკომოტივმა" 35 ქულა მოაგროვა. გუნდმა 26 შეხვედრიდან 14 მოიგო, 7 შეხვედრა ფრედ დაამთავრა, 5 შეხვედრა წააგო. გაიტანა 46 ბურთი და საკუთარ კარში გაუშვა 29 ბურთი.

"ლოკომოტივი" პირველი და მეორე ქვეჯგუფების ექვსეულში მოხვდა და ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. ფინალურ ჯგუფში სამტრედიის გარდა მონაწილეობდნენ: მახარაძის (ოზურგეთის) "სიხარული", ტყიბულის "მეშახტე", ქუთაისის "იმერეთი", ლანჩხუთის "გურია", ზუგდიდის "ოდიში".

1961 წელს საქართველოს ჩემპიონი ლანჩხუთის "გურია გახდა, მეორე ადგილზე სამტრედიის "ლოკომოტივი" გავიდა, ხოლო მესამე ადგილი ქუთაისის "იმერეთმა" დაიკავა. ამ დროს სამტრედიის "ლოკომოტივის" ღირსებას იცავდნენ: ჯ. გაბუნია, ო. ნიკურაძე, ლ. ფირცხალავა, მ. ასრატოვი, რ. ტორონჯაძე, ა. შაპავალოვი, რ. ვისოცკი, მ. კვანტალიანი, ბ. ყურულაშვილი, ა. ოქროპირიძე, გ. პუჭჩენკო, ჯ. კვანტალიანი, გ. დოლიძე. მწვრთნელი ვლ. ნარიმანიძე.

ბორის ფოცხვერაშვილი იხსენებს: "ლოკომოტივის" დიდი აღმავლობის ხანა 1968 წლიდან დაიწყო, როცა მისით უშუალოდ რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ კოხრეიძე დაინტერესდა. 1970 წელს, როცა გუნდი საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი გახდა და გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა, გადაწყდა, რომ მომავალი წლისათვის პირველი ადგილისა და საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში "ბ" ჯგუფის საგზურისათვის გვეზრუნა.

1971 წლის ივლისში, გათამაშების პირველი წრის დამთავრების შემდეგ, გუნდი მეორე ადგილზე მყოფ ტყიბულის "მეშახტეს" მთელი 6 ქულით უსწრებდა, რითაც პირველი ადგილი თითქმის გარანტირებული გვქონდა".

1968 წელს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში შემდეგი გუნდები გამოდიოდნენ: სამტრედიის "ლოკომოტივი", სიღნაღის "მშენებელი", მახარაძის (ოზურგეთის) "ლაითური", ზესტაფონის "მეტალურგი", წალენჯიხის "კოლმეურნე", ყვარლის "დურუჯი", თბილისის "სინათლე", ცხაკაიას (სენაკის) "კოლხეთი", ახალციხის "მესხეთი", თბილისის "ფიზკულტურული ინსტიტუტი", ვანის "სულორი", ბორჯომის "სპარტაკი", საგარეჯოს "გარეჯი", ბათუმის "ნარინჯი", აწყურის "სამცხე", წულუკიძის (ხონის) "ფეიქარი", თბილისის "ასკ", გორის "ქართლი", გალის "აერო", მცხეთის "არაგვი", ჩოხატაურის "ბახმარო", თბილისის "ისანი".

ამავე წლის დასაწყისიდან ლიდერობდა თბილისის "არმიის სპორტული კლუბი". გუნდმა ლიდერობა სეზონის ბოლომდე შეინარჩუნა. მეორე ადგილზე "ფიზკულტურის ინსტიტუტის" გუნდი გავიდა, ხოლო მესამეზე _ ცხაკაიას (სენაკი) "კოლხეთი". სამტრედიის "ლოკომოტივმა" და პირველი ზონის დებიუტანტმა ვანის "სულორმა" 42 თამაშიდან 48-48 ქულა მოაგროვეს.

აღსანიშნავია, რომ სამტრედიელებმა შინ ლიდერი _ "არმიის სპორტული კლუბი" ანგარიშით 2 : 1 დაამარცხეს, ხოლო ვანის "სულორმა" იმდენი მოახერხა, რომ შემდეგ წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა.

1968 წელს სამტრედიის "ლოკომოტივი" მინდორზე ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ერქვანიძე, კაპანაძე, ერისთავი, ჯვარშეიშვილი, ოგანესოვი, ესებუა, მიშენკოვი, ყურულაშვილი, ელაშვილი, ჩაჩუა, კვანტალიანი, ნ. დოლიძე, ოჩხიკიძე, მანჯგალაძე, გ. დოლიძე, გარნოვსკი.

1969 წელს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში სამტრედიის "ლოკომოტივის" მეტოქეები იყვნენ: გარდაბნის "შრომითი რეზერვები", თბილისის "ასკ", თბილისის "ფიზკულტურის ინსტიტუტი", ცხაკაიას (სენაკი) "კოლხეთი", ზესტაფონის "მეტალურგი", თბილისის "სინათლე", ვანის "სულორი", გეგეჭკორის (მარტვილი) "სალხინო", ბორჯომის "სპარტაკი", წულუკიძის (ხონი) "ფეიქარი", ყვარლის "დურუჯი", სიღნაღის "ცისკარი", გალის "აერო", ჩოხატაურის "ბახმარო", მახარაძის (ოზურგეთი) "ლაითური", აწყურის "სამცხე", ახალციხის "მესხეთი", წალენჯიხის "კოლმეურნე", გორის "ქართლი".

1969 წელს საქართველოს ჩემპიონი ვანის "სულორი" გახდა. ამ სეზონზე სამტრედიელებმა ვანში 1:2 წააგეს, სახლში კი ფრეს დასჯერდნენ (0:0).

1969 წელი "ლოკომოტივისთვის" მნიშვნელოვანი წელი იყო, მიმდინარეობდა გუნდის გადახალისება. ამ დროს "ლოკომოტივის" ღირსებას იცავდნენ: გაბუნია, კაპანაძე, ვერნა, გიგინეიშვილი, ტორონჯაძე, ერისთავი, გარნოვსკი, ტუკვაძე, გიორგობიანი, კალაძე, მანჯგალაძე, ნ. დოლიძე, ყურულაშვილი, კვანტალიანი, ელაშვილი, სანებლიძე, დიდიძე, გ. დოლიძე, შენგელია, მუშკუდიანი.

1970 წელს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში სამტრედიის "ლოკომოტივთან" ერთად ასპარეზობდა სიღნაღის "ცისკარი", "ფიზკულტურის ინსტიტუტი", "არმიის სპორტული კლუბი" ("ასკ"), გორის "ქართლი", წულუკიძის (ხონი) "ფეიქარი", ჩოხატაურის "ბახმარო", აწყურის "სამცხე", თერჯოლის "იმერეთი", ახალციხის "მესხეთი", ბორჯომის "მშენებელი", გალის "მზიური", თბილისის "ისანი", ქობულეთის "შუქურა", ზუგდიდის "ენგური", ჭიათურის "მაღაროელი", ლაითურის "გიგანტი", თბილისის "სინათლე", ცხაკაიას (სენაკი) "ეგრისი", წალენჯიხის "სქური", გეგეჭკორის "სალხინო", გარდაბნის "ვარკეთილი", ზესტაფონის "მეტალურგი".

1970 წელს სამტრედიის "ლოკომოტივს" ჯუმბერ ხაჟალია წვრთნიდა. მან გუნდში მიიწვია ქუთაისის "ტორპედოს" და ლანჩხუთის "გურიას" ყოფილი მოთამაშე სპორტის ოსტატობის კანდიდატი თემურ კოხრეიძე. "ლოკომოტივმა" ჩემპიონატი წარმატებით დაიწყო. 8 მარტს სამტრედიელებმა დიდი ანგარიშით 5:2 დაამარცხეს წინა წელს მესამე ადგილზე გასული ცხაკაიას (სენაკი) "ეგრისი" (მანამდე "კოლხეთის" სახელწოდებით ცნობილი გუნდი). სამტრედიელებიდან გოლი გაიტანეს ყურულაშვილმა, კოხრეიძემ (2), ამირანაშვილმა და მანჯგალაძემ. ამ დროს სამტრედიის ლოკომოტივის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ: ო. ჭიღლაძე, რ. კაპანაძე, დ. მარგველაშვილი, კ. კალაძე, ზ. ერისთავი, გ. დოლიძე, თ. კოხრეიძე, ზ. სანაძე, თ. ტუკვაძე, ი. ყურულაშვილი, ი. ბარდაკოვი, ვ. მანჯგალაძე, ა. ამირანაშვილი, ე. ჩხენკელი, ა. კახაია.

1970 წლის ჩემპიონატზე მოხდა უპრეცედენტო ფაქტი: ზესტაფონის "მეტალურგმა", "ფიზკულტურის ინსტიტუტმა" და სამტრედიის "ლოკომოტივმა" თანაბარი ქულები დააგროვეს და ჩემპიონის გამოსავლენად გორში საგანგებო ტურნირი გამართეს. სამტრედიელები ზესტაფონის "მეტალურგთან" დამარცხდნენ (0:1). ფრედ დაასრულეს შეხვედრა ზესტაფონელებმა "ფიზკულტურის ინსტიტუტის" გუნდთან (0 : 0), ხოლო, იმის გამო, რომ "ფიზკულტურის ინსტიტუტმა" სმატრედიის "ლოკომოტივს" მოუგო (2:1), "ფიზკულტურის ინსტიტუტი" და ზესტაფონის "მეტალურგი კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა "ფიზკულტურის ინსტიტუტმა" (2:1) და საქართველოს ჩემპიონის წო-

დებაც მოიპოვა. სამტრედიელებს მესამე ადგილი ერგოთ.

1971 წელს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში სამტრედიის "ლოკომოტივთან" ერთად ასპარეზობდა ცხაკაიას (სენაკის) "ეგრისი", ვანის "სულორი", ზესტაფონის "მეტალურგი", ხაშურის "ივერია", გარდაბნის "ვარკეთილი", ქობულეთის "შუქურა", აწყურის "სამცხე", ლანჩხუთის "გურია", თელავის "კახეთი", გურჯაანის "ალაზანი", წალენჯიხის "სქური", თბილისის "ფიზკულტურის ინსტიტუტი", ასპინძის "ვარძია", თბილისის "სინათლე", თბილისის "ასკ", თბილისის "ისანი", ზუგდიდის "დინამო", ცხინვალის "განთიადი", სიღნაღის "ცისკარი", თბილისის "ლოკომოტივი", გორის "ქართლი", გეგეჭკორის (მარტვილი) "სალხინო", წულუკიძის (ხონი) "ფეიქარი", ჭიათურის "მაღაროელი", ლაითურის "გიგანტი". ამ დროს სამტრედიის "ლოკომოტივის" ღირსებას იცავდნენ: რ. კაპანაძე, ო. ჭიღლაძე, ზ. ჯინჭველეიშვილი, ლ. გეგეშიძე, ზ. ერისთავი, ე. ჩხენკელი, დ. მარგველაშვილი, კ. კალაძე, ვ. ყურულაშვილი, გ. დოლიძე, თ. კოხრეიძე, ა. მესიაჩენკო, რ. ჩაჩუა, ვ. მანჯგალაძე, ა. ამირანაშვილი, ტ. დვალიშვილი, ა. სულავა.

1971 წლის 15 ოქტომბერს სამტრედიაში "ლოკომოტივმა" ამხანაგური მატჩი გამართა თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან. თამაში თბილისელებმა მოიგეს. მესამოცე წუთზე სამტრედიელთა კარში ბურთი თავით გუცაევმა შეაგდო, ხოლო სამოცდამეცამეტე წუთზე რეხვიაშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა (2:0). თამაშის დამთავრების შემდეგ თბილისის "დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალიანმა განაცხადა: "თქვენმა გუნდმა დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ლოკომოტიველებმა პირველ ნახევარში, როცა "დინამოს" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. სხვებიდან გამოვყოფდი ჩაჩუას თამაშს". თბილისის "დინამო" სამტრედიის სტადიონზე ასეთი

1977 წლის საქართველოს ჩემპიონები ფეხბურთში [illegible] მარცხნიდან მარჯვნივ: ზ.ჯინჭველეიშვილი, რ.კაპანაძე, ვ.მანჯგალაძე, გ.დოლიძე, რ.ჩ[illegible] [illegible] ა.მესიაჩენკო, ა.სულავა.

შემადგენლობით გამოვიდა: ურუშაძე, პეტრიაშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, გავაშელი, კუტივაძე, გუცაევი, მაჩაიძე, ყიფიანი, რეხვიაშვილი, ლ. ნოდია, (მჭედლიშვილი).

თბილისის "დინამოს" დუბლიორებმა 1956 წელს ანგარიშით 6:2 მოუგეს სამტრედიელებს სამტრედიაში. ამ დროს სამტრედიის ნაკრებიდან გოლები გაიტანეს გ. ნუცუბიძემ და კ. კოხრეიძემ. ასევე დიდი ანგარიშით 8:2 მოუგეს თბილისის "დინამოს" ძირითადმა ფეხბურთელებმა სამტრედიელებს სამტრედიაში _ 1957 წლის ივნისში. სამტრედიელებმა მდგომარეობა 1958 წლის ნოემბერში გამოასწორეს და ისევ სამტრედიაში _ თბილისის "დინამოს" ოსტატვეტერანთა გუნდი დაამარცხეს. მაშინ სამტრედიას ბევრი სახელოვანი ფეხბურთელი ესტუმრა. ბ. პაიჭაძეს, მ. ბერძენიშვილს, ა. ჭკუასელს, გ. ანთაძეს, ი. ზაზროშვილს, ა. პაიჭაძეს, რ. კავსაძეს, მ. ჭელიძეს, ი. სარჯველაძეს, ა. ორლოვს, მ. გამყრელიძეს, ა. თოდრიას სამტრედიელები აღტაცებულები ეგებებოდნენ. სტადიონზე მათ ჯ. გაბუნია, ნ. დოლიძე, ლ. ფირცხალავა, რ. ტორონჯაძე, ვ. მამფორია, მ. ასრატოვი, შ. ჭრელაშვილი, ო. ნიკურაძე, კ. კოხრეიძე, ჟ. შენგელია, ჯ. ხაჟალია, ვ. ბახტაძე, ბ. ყურულაშვილი დაუპირისპირდნენ და მოუგეს ანგარიშით 4:3. სამტრედიელებიდან სამი ბურთი ო. ნიკურაძემ გაიტანა, ერთი კი _ კ. კოხრეიძემ. თბილისელებიდან ორი ბურთი ი. ზაზროშვილმა გაიტანა ერთი კი _ ბ. პაიჭაძემ.

1971 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგის საგზური მოიპოვა ლანჩხუთის "გურიამ".

მეორე ადგილზე გავიდა სამტრედიის "ლოკომოტივი". გუნდმა 50 თამაშიდან 3:1 მოიგო, 11 ფრედ დაასრულა, 8 წააგო და მოწინააღმდეგის კარში 82 ბურთი გაიტანა, საკუთარ კარში კი 34 ბურთი გაუშვა. სამტრედიელებმა საბოლოოდ 73 ქულა მოაგროვეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი გიორგი ბაქანიძე აღნიშნავდა: "მეორე ადგილი ხვდა სამტრედიის "ლოკომოტივს", რომელიც 1970 წელსაც კარგად გამოვიდა რესპუბლიკურ ჩემპიონატში და ამჯერადაც კიდევ უფრო უკეთეს შედეგს მიაღწია. მაღალ დონეზე ჩატარებულმა თამაშებმა ცხადყო, რომ რკინიგზელთა კოლექტივი გამსჭვალულია ერთსულოვნებით და აქვს საბრძოლო უნარი, რომ იფიქროს ახალ, უფრო სერიოზულ წარმატებებზე. სამტრედიელთა ამ მიღწევაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელს შ. გიგილაშვილს, რომელსაც ქმედით დახმარებას უწევდნენ რაიონის ხელმძღვანელობა და "ლოკომოტივის" ადგილობრივი საბჭო".

1972 წელს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში სამტრედიის "ლოკომოტივთან" ერთად გამოდიოდნენ: ხობის "კოლხეთის", თბილისის "ისანი", გეგეჭკორის (მარტვილის) "სალხინო", თელავის "კახეთი", გარდაბნის "ვარკეთილი", ზუგდიდის "დინამო", თბილისის "ფიზკულტურის ინსტიტუტი", ზესტაფონის "მეტალურგი", ცხაკაიას (სენაკის) "ეგრისი", თბილისის "ლოკომოტივი", ხაშურის "ივერია", ლაითურის "გიგანტი", ვანის "სულორი", აწყურის "სამცხე", გორის "ქართლი", თბილისის "ასკ", ქობულეთის "შუქურა", წულუკიძის (ხონის) "ფეიქარი", ბორჯომის "განთიადი", ტყიბულის "მეშახტე", ხობის "კოლხეთი".

წლის დასაწყისში მწვრთნელებმა, შოთა გიგალაშვილმა და კარლო კოხრეიძემ სამტრედიელი ფეხბურთელები ეშერაში შეკრიბეს. "ლოკომოტივმა" საკონტროლო თამაშები გამართა ზესტაფონის "მეტალურგთან", ხაშურის "ივერიასთან", ქუთაისის "ტორპედოსთან", მინსკის "დინამოსთან". სამტრედიელებმა ეშერაში პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩიც გამართეს, ისინი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებს შეხვდნენ და თამაში ფრედ დაასრულეს (1:1). ბურთი კოლეგიშიძე, რ. გიგინეიშვილი, გ. დოლიძე, ა. მესიაჩენკო, თ. კოხრეიძე, ზ. ერისთავი, ვ. ყურულაშვილი, ვ. მანჯგალაძე, ი. ბარდაკოვი, ა. სულავა, ზ. დადიანი, ტ. დვალიშვილი, ტ. ვერულიძე, მ. ქავთარაძე, ა. ამირანაშვილი, ჟ. ელაშვილი. მეორე ადგილზე ტყიბულის "მეშახტე" გავიდა. მესამე ადგილი ზუგდიდის "დინამომ" დაიკავა.

1972 წლის 29 დეკემბერს რკინიგზელთა კლუბში საქართველოს ჩემპიონებს სამტრედიელებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს და გამარჯვება კიდევ ერთხელ მიულოცეს. მაშინ ღონისძიებაზე სიტყვებით გამოვიდნენ: კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ნ. გელეიშვილი, სპორტსაზოგადოება "ლოკომოტივის" რაისაბჭოს თავმჯდომარე ი. სტურუა, რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პროფკომის თავმჯდომარე ა. ტორონჯაძე, სამტრედიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ს. მჟავანაძე, გაზეთ "წინსვლის" რედაქტორი ვ. ნიკოლეიშვილი, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი ლ. ჩხეიძე, "საქართველოს ჩაის" სამტრედიის მექანიკური ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. მუქერია, რაიკომის მდივანი თ. მიქაძე. სამტრედიელი ფეხბურთელების სახელით გუნდის თავი კარლო კალაძე გამოვიდა: "ჩვენმა გუნდმა წელს პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი. ეს "ლოკომოტივის" მთელი კოლექტივის დიდი წარმატებაა, რომელშიც თავისი წვლილი შეიტანა გუნდის ყველა წევრმა. მართალია, ძნელია ვინმეს გამოყოფა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ვეტერანი ფეხბურთელების რ. კაპანაძის, რ. ჩაჩუას, ლ. გეგეშიძის, გ. დოლიძის, თ, კოხრეიძის, ა. მესიაჩენკოს, ვ. მანჯგალაძის, ტ. დვალიშვილის დამსახურება. აგრეთვე ის დიდი წვლილი, რომელიც ამ გამარჯვებაში მიუძღვით მწვრთნელებს შ. გიგილაშვილს და კ. კოხრეიძეს. მათმა მეგობრულმა დამოკიდებულებამ გუნდის წევრებთან დიდი ნაყოფი გამოიღო.

მომავალ წელს "ლოკომოტივი" მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის "ა" კლასის მეორე ლიგის გათამაშებაში. ვუსურვებ ჩვენს კოლექტივს, კვლავაც გაეხარებინოს გულშემატკივრები".

ღონისძიებაზე საპატიო სიგელები ფეხბურთელებს გადასცა სპორტსაზოგადოება "ლოკომოტივის" საორგანიზაციო განყოფილების გამგემ თ. ქობულაძემ, ხოლო საქართველოს პირველობის მთავარმა მსაჯმა ჯ. შავდიამ ჩემპიონის გარდამავალი დროშა და პირველი ხარისხის დიპლომები გადასცა "ლოკომოტივის" მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს.

შეხვედრის დასასრულს სპორტსმენებს წარმატებები უსურვა სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კოხრეიძემ და გუნდის მწვრთნელები _ შ. გიგილაშვილი, კ. კოხრეიძე და ფეხბურთელები სამტრედიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

1973 წლის თებერვალში გაიმართა სამტრედიის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი. პლენუმზე "ლოკომოტივის" წარმატებაზე ისაუბრა ფედერაციის თავმჯდომარემ, რკინიგზის სამტრედიის მილიციის უფროსმა სამშე მჟავანაძემ. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: ა. აბაშიძე, შ. ნიკურაძე, შ. გიგილაშვილი, რ. ვაშაკიძე, ა. ტორონჯაძე, გ. მურღულაია, თ. მიქაძე. პლენუმის მუშაობა რაიკომის მეორე მდივანმა ნ. ბახტაძემ შეაჯამა.

პლენუმმა სამტრედიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ ისევ სამშე მჟავანაძე აირჩია, ხოლო რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებზე დელეგატებად ს. მჟავანაძე, გ. მურღულაია, შ. გიგილაშვილი, ი.

1962 წელი. სამტრედიის "ლოკომოტივი" საქართველოს პირველობის ვერცხლის მედალოსანი გუნდი ფეხბურთში

მარცხნიდან მარჯვნივ: მწვრთნელი ვ.ნარიმანიძე. ზევით: ო.ნიკურაძე, ჯ.გაბუნია, ლ.ფირცხალავა, მ.ასრატოვი, რ.ტორონჯაძე, ა. შაპალოვი, რ.ვისოცკი.
ქვევით: გ.კვანტალიანი, ბ.ყურულაშვილი, ა.ოქროპირიძე, გ.პუნჩენკო, ჯ.კვანტალიანი, გ.დოლიძე.

სტურუა და ა. კოპალეიშვილი მიავლინა.

ახალი სეზონისთვის სამტრედიის "ლოკომოტივში" ადგილები შეინარჩუნეს: რ. კაპანაძემ, კ. კალაძემ, ა. მესიაჩენკომ, რ. ჩაჩუამ, ტ. დვალიშვილმა, ა. სულავამ, გ. დოლიძემ, ტ. ვერულიძემ. მათ შეუერთდნენ: ქობულია, ქანთარია, ოდიშარია, დარჯანია, დემეტრაშვილი, კაველიძე, თომაშვილი, გიორგობიანი, სულაბერიძე. ჩემპიონატის დაწყებამდე სამტრედიის გუნდმა ეშერაში საკონტროლო თამაშები გამართა ვოროშილოვგრადის "ზარიასთან", "ცსკ"-თან, სოხუმის "დინამოსთან", პავლოდარის და პენზის გუნდებთან.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგის მეექვსე ზონაში სამტრედიის "ლოკომოტივთან" ერთად გამოდიოდნენ: ტამბოვის "რევტრუდი", ვორონეჟის "ტრუდი", რიაზანის "სპარტაკი", ვლადიმირის "მოტორი", ვოლოგდის "დინამო", რიბინსკის "სატურნი", კოსტრომის "სპარტაკი", გორკის "ვოლგა", სოხუმის "დინამო", ფოთის "კოლხეთი", ლანჩხუთის "გურია", გორის "დილა", ბათუმის "დინამო", მახარაძის "მერცხალი", "კალუგის "ლოკომოტივი", ბრიანსკის "დინამო", ტირასპოლის "ზვეზდა".

1973 წლის 19 აპრილს სამტრედიელები საკუთარ მოედანზე ტამბოვის "რევტრუდს" შეხვდნენ და ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს. დვალიშვილის ჩაწოდებული ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში თავით ქანთარიამ შეაგდო.

საკავშირო ჩემპიონატზე პირველი გამოსვლა და გამარჯვება სათანადოდ დააფასეს მაყურებლებმა და სამტრედიის კომკავშირის რაიკომის სპეციალური პრიზი ტ. დვალიშვილს გადაეცა. განათლების მუშაკთა რაიონულმა პროფკავშირებმა პრიზი უ. ქანთარიას მიაკუთვნა ხოლო გაზეთ "წინსვლის" რედაქციას ტამბოველთა თავდამსხმელის ტარასოვის თამაში მოეწონა და პრიზიც მას გადასცა.

ვიდრე ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი არსებობდა, სამტრედიის "ლოკომოტივი" მეორე ლიგის მყარი ბინადარი იყო და ლიგა წარუმატებლობის გამო არ დაუტოვებია.

ალეზან ჯიხრაძე

ცრემლებად გატანებული ბოლო ღიმილი

ჩუმად გაიხურა რედაქციის კარი...

ისე როგორც სახლში, სამსახურშიც ფეხის ხმაზე ვცნობთ ერთმანეთს, იმიტომ, რომ ისიც ჩვენი სახლია, მეორე ოჯახი.

როგორც ნათესავს, წესისამებრ, აქ ასე არ უნდა მივმართავდეთ ერთმანეთს, თუმცა, ჩვენ "ცისანა დეიდას" გეძახდით და თქვენდამი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ასე გამოვხატავდით...

რამდენიმე დღეა, აღარც ცისანა დეიდაა და აღარც მისი რბილი ნაბიჯები გვაგრძნობინებს მის არსებობას. ნააღდგომევს ჩუმად გაიხურა რედაქციის კარი და უკან აღარ დაბრუნებულა...

უკანასკნელი სატელეფონო მოკითხვა, მისი რამდენიმე დამარცვლული ბგერა და...

სიკვდილმა წინ გაიძღოლა კიდევ ერთი თავისი მსხვერპლი. ცოტა არც უცოცხლია და არც უცხოვრია, ბევრი კარგი მოგონება გაიყოლა, ბევრი კარგი სათქმელიც დაუტოვა "მაცნეელებს".

იმედიან სიტყვას და ლოცვას არ იშურებდა, თვალზე სიხარულის ცრემლიც ხშირად მოადგებოდა და ჩვენი პრობლემების თანაზიარიც ხდებოდა, ვუყვარდით და გვიყვარდა. არსად ვტოვებდით, გვინდოდა, ყოველთვის ჩვენს გვერდით ყოფილიყო. "ახალგაზრდა აღარ ვარ, უხერხულია"-ო, იტყოდა.

... დღეს გაზეთია. ვცდილობ, ახლა მაინც დავწერო ორიოდე თბილი სიტყვა თქვენზე, იმიტომ არა, რომ არ გეკუთვნით, უბრალოდ, თქვენს გარდაცვალებას ვერ შევეგუეთ. მახსოვს თქვენი მოსვლა რედაქციაში, საკმაოდ ახალგაზრდა ცისანა დეიდა, ტყიბულის, ჩემი მამულეთის სურნელიც რომ მოიყოლა იქედან მოსულმა. სიყვარულით საუბრობდით ჩვენს საერთო ნაცნობებზე, თქვენს ყოფილ სამსახურზე, სადაც კარგად იცოდნენ თქვენი ფასი.

ბედნიერი ხართ, ცისანა დეიდა, ასეთი გულისტკივილი რომ დაუტოვეთ იმ ადამიანებს, ვისთანაც ასე დიდხანს დაჰყავით.

დიახ, დღეს გაზეთია, ძალიან დაძაბული დღე და განსაკუთრებულად მოვიჩქარით სამსახურში, მაგრამ ვიცით, რომ კარს თქვენ აღარ გაგვიღებთ, არც ჩვენს ოთახებს დაეტყობა თქვენი მზრუნველობა. ეს დღეც ჩაივლის სინანულნარევი მოგონებებით...

ალბათ, სიკვდილი დაუსრულებელი აღმოჩენაა, თუ როგორ გვიყვარდა, გვჭირდებოდა, როგორ ცხოვრობდა... პოეტისა არ იყოს, თუკი სიკვდილი "ჰშვენობს" სიცოცხლეს, თქვენი სიცოცხლე მან კიდევ უფრო გაალამაზა.

ქეთევან ჭელიძე

ქოველთვის ხომ არ ვიქნები, ბიჭო...

ვერა და ვერ ვჯდები საწერად მაშინ, როცა ახლობელ ადამიანს უნდა გამოვეთხოვო წერილით. პირველად მაშინ დამემართა ასე, ჩემი მოსწავლის, ტრაგიკულად დაღუპული სერგო სინატაშვილის გამოსათხოვარი, უფრო სწორად, გახსენება რომ უნდა დამეწერა.

ასე მჭირს ახლაც.

ჩემს ახლობელს კი არა, უახლოეს ადამიანს, მეზობელს, უფროს მეგობარს, ჩვენი რედაქციის უხუცეს წევრს, უღვაწლმოსილეს ქალბატონს, ცისანა ძოძუაშვილს უნდა გამოვეთხოვო.

საიდან დავიწყო.

რომელი ერთი გავიხსენო.

კადრივით გაირბინეს მეხსიერებაში წლებმა.

გაცილებით ახალგაზრდა ცისანა დეიდა...

ცისანა დეიდა, მოლარე, საქმისმწარმოებელი, კორექტორი...

მანამ კი, მანამ ტყიბულის საქალაქო გაზეთის რედაქციაში და ტყიბულის მაღაროთა სამმართველოში ჰქონდა სახელი მოხვეჭილი.

შესანიშნავი დახასიათებით მოვიდა რედაქციაში ჩვენთან ტყიბულიდან ცისანა, _ იტყოდა ბატონი ანზორ გრიგოლია, კაცი, რომელიც არც სიკეთეს დაუკარგავდა ვინმეს და არც ჰარი-ჰარად ისროდა საქებარ სიტყვებს.

31 წელი იმუშავა ჩვენთან ცისანა დეიდამ.

ერთი კვირით იავადმყოფა და ჩუმად, მისეულად უპრეტენზიოდ განერიდა საწუთროს.

ყოველთვის ხომ არ ვიქნები, ბიჭო, მეტყოდა ხანდახან, არადა, მართლა გვინდოდა, ყოველთვის გვყოლოდა ჩვენს გვერდით...

6 მაისს გიორგობას ჯვარცმის სასაფლაოზე კიდევ ერთი საფლავი წამოიბორცვა.

ჩვენი საყვარელი ცისანა დეიდა განისვენებს შიგ.

ნათელში იყავი ჩვენო მოუღლელო, კეთილო, მოუსვენარო, დაუვიწყარო ცისანა დეიდა!

ლევან გაბეჩავა

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ქალბატონი

ცისანა ძოძუაშვილი

და თანაუგრძნობს ჭირისუფალს.

უკვე ერთით ნაკლები ვართ რედაქციაში...

პირველი გამარჯობა მას ეკუთვნოდა დილით, კარის შეღებისთანავე. "ღმერთმა გაგიმარჯოთი" შეგეგებებოდა და ისე შინაურულად მოიკითხავდა შენს ამბებს, როგორც ჩვენთან სჩვევია ახალგაზრდასაც და ხანშიშესულსაც.

რადგან ყველაზე ხნიერი იყო, განსაკუთრებულად ვუფრთხილდებოდით, განსაკუთრებულ პატივს ვცემდით მისი კარგი ადამიანობის გამო. სულ რამდენიმე დღეა მივაბარეთ მიწას და უკვე ვგრძნობთ დიდ სიცარიელეს, მისმა წასვლამ რომ დაგვიტოვა, ვერ ამოვავსებთ. ისევე გაგვიჭირდება ეს, როგორც მათი დავიწყება, ვინც თავისი სიტყვა თქვა ჩვენი გაზეთის მრავალწლიან ისტორიაში.

ჩვენი ცისანა დეიდა გარდაიცვალა! სტკივა იგი მას შეჩვეულ კედლებს. ისევ ესმით ყურებს ლევანის ხუმრობაზე, მისი "ნუ ტინტილობ ბიჭო," მისეული დარიგება, "გამიგონე, რომ გეუბნებით." მთავრდებოდა.

უცებ გაქრა ჩვენი ცისანა დეიდა, უცებ გაილია, სულ რამდენიმე დღეში. იყო და აღარ არის... არადა, თვალწინ გვიდგას მისეული გადამდები ღიმილით გაბადრული, ბედნიერი სახე, 80 წლის იუბილეზე ჩვენს მიერ გამოხატულ სითბოს რომ შეაგება.

"სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში, სხვა ბევრთან ერთად, ადამიანობასაც ისწავლის კაცი. ისე აქაურობას ვერ მოერგები. აქ ყველაზე უკეთ იციან წინამორბედთა სიყვარული და პატივისცემა. ამიტომ სხვანაირად არ შეგვიძლია, გულწრფელია ჩვენი ცრემლები, მისადმი ბოლო ღიმილად გატანებული.

უკვე ერთით ნაკლები ვართ რედაქციაში...

კალამს მიჩვეულს, სიტყვას შეჩვეულს ძალიან მიჭირს აზრებთან გამკლავება. ასე ცოდნია საყვარელი ადამიანის გამოსათხოვებლად ყელში მოწოლილ გრძნობას. დედა რომ გარდამეცვალა, ატირებული მანუგეშა, დედა უნდა წავიდესო. ახლაც ჩვენი რედაქციიდან წავიდა დედა, სათნო მოხუცი ქალი ახალგაზრდული შემართებით, სიბერესთან არშეგუების ჟინით აღსავსე.

მერე სხვები მოვლენ რედაქციაში, ახალგაზრდები. ჩვენ მოხუცდებით და მათ ისევე დავუტოვებთ იმათი ხსოვნის პატივისცემას, ვინც იყო და აღარ არის, როგორც ჩვენ დაგვიტოვეს ღირსებად ღირსეულებმა ღირსეულთა ხსოვნა.

უკვე ენატრებათ ჩვენი ცისანა დეიდა მას შეჩვეულ კედლებს, მას შეჩვეულ თვალებს. უკვე ერთით ნაკლები ვართ რედაქციაში, ერთით მეტის ხსოვნით.

მოგვენატრები, ციცო!

თეა გაბუნაველი

შვილთაშვილ ელენიკო ბარაბაძისგან



მეგობრის ხსოვნას

ერთი წელი გავიდა, რაც ნივერ ბირკაია, თანაკლასელი, ჩემთვის საყვარელი ადამიანი, მეგობარი, პიროვნება, რომელთანაც 65 წელი გავატარე გარდაიცვალა.

იშვიათად თუ შევხვედრივარ ასეთ მოწესრიგებულ ადამიანს, ყველა წვრილმანს რომ ყურადღებას აქცევდა, უაღრესად ფაქიზი იყო განსაკუთრებით მეგობრების მიმართ. არასოდეს ავიწყდებოდა დაბადების თუ სხვა ღირსშესანიშნავი თარიღების მოლოცვა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო მისი ორგანიზაციული ნიჭი. უყვარდა ყველა ღონისძიების სათავეში ყოფილიყო, ასე დაგეგმა და განახორციელა თანაკლასელთა 10 და 20 წლისთავების აღნიშვნა, აგროვებდა ფოტო და ვიდეო-მასალას ამ ღონისძიებების აღსანიშნავად. უყვარდა მის მიმართ გამოჩენილი ყურადღების დაფასება და მომენტს არ გაუშვებდა, რომ მადლობა არ გადაეხადა ადამიანებისათვის.

ჩვენი მეგობრობა განსაკუთრებული გახდა მოსკოვში ერთად ცხოვრების პერიოდში. ყოველთვის ცდილობდა, რაიმეთი ესიამოვნებინა. იყო შესანიშნავი თამადა და უყვარდა დიდებული მოლხენა, ყოველთვის ცდილობდა, მის გვერდით ყოფილიყვნენ მეგობრები, რომ მათდამი განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინა, რაც მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.

ის იყო ადამიანი, ვინც დაწვრილებით იცნობდა და უყვარდა თავისი საქმე. რიგითი მშენებლიდან ტრესტის მმართველამდე ყველა გზა გაიარა. იყო სპიტაკის მშენებლობის მონაწილე. ყოველივე ამან საშუალება მისცა, მოსკოვში უდიდესი ელიტარული სახლების მშენებელი ფირმა "დომსტროის" ღირსეული წევრი გამხდარიყო, რაც დაუფასეს კიდეც _ მოსკოვში 3 ოთახიანი ბინით დააჯილდოვეს.

ასეთი ადამიანის დაკარგვა უდიდესი დანაკლისია ყველასთვის, ვინც მას იცნობდა. ჩემთვის კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ჩემი ავადმყოფობის გამო, მუდმივ სასუფეველში მის წასვლას ვერ დავესწარი.

ნათელი მის ხსოვნას!

უდიდესი გულისტკივილით თამაზ მიქაძე

55 წლის წინ
ეს ქართველმა შეძლო!

ქართველი ექიმის, პროფესორ იოსებ ჟორდანიას გმირობამ მსოფლიო განაცვიფრა, აალაპარაკა.

გმირობაცაა და გმირობაც.

ოკეანის გაღმა, სამედიცინო-სამეცნიერო სიმპოზიუმზე მიფრინავდა პროფესორი, როცა ბოინგმა კატასტროფა განიცადა.

თვითმფრინავში დაღუპვისათვის აშკარად განწირული გოგონა აღმოჩნდა, მაშველი რგოლის გარეშე.

ქართველმა ექიმმა საკუთარი რგოლი დაუთმო გოგონას თავად კი...

ოკეანის ტალღებში ჩაინთქა პროფესორის სიცოცხლე.

მოკვდა კაცი.

დაიბადა გმირი...

ეს შეძლო ქართველმა კაცმა.

ლევან გაბეჩავა

დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის, ღვაწლმოსილი მუშაკის, ქალბატონი

გულიკო ანდღულაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ნინი ფხალაძესა და ზიკო ჯინჭარაძეს!

კიდევ ერთი ქართული ოჯახი შეიქმნა სიყვარულზე დაფუძნებული.

ჩვენს თვალწინ დავაჟკაცებული ზიკო დაოჯახდა.

გულწრფელად, სიყვარულით გილოცავთ გაბედნიერებას ჩვენო ნინი და ზიკო. აკვანთა სიმრავლე, ფუძის სიმტკიცე და ძლიერება დაგებედოთ.

გამრავლდით და გაიხარეთ!

უფალი გმფარველობდეთ!

„სამტრედიის მაცნე"

ეკა ცომაიას!

შვილის ბედნიერებას გილოცავთ ჩვენო ეკა, ღმერთმა გიბედნიეროს შენი ზიკო და ნინი.

„სამტრედიის მაცნე"

იუბილე

გილოცავთ!

45 წლის იყო რომ გავიცანი, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნამუშევარი „სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში მოვიდა სამუშაოდ კორესპონდენტის თანამდებობაზე, მერე პასუხისმგებელ მდივნად იმუშავა, იყო გაზეთის რედაქტორი.

ცნობილი და ყველასათვის საყვარელი თინა მასწავლებლის (ქალბატონი თინა ჩახუნაშვილის) ვაჟიშვილმა უბრალოებითა და სისადავით შეძლო თავადაც მოეხვეჭა სიყვარული და პატივისცემა კოლეგებსა და იმ ადამიანებში, გაზეთთან რომ მრავლად თანამშრომლობდნენ.

არაფერს გავაზვიადებთ, არ შევალამაზებთ, მიშა ნიკოლეიშვილს მხოლოდ ერთი წელი და რამდენიმე თვეს მოუხდა რედაქტორად მუშაობა (მერე საკუთარი განცხადებით დატოვა რედაქტორობა), თუმცა, ეს ერთი წელიც მნიშვნელოვანი და გარდამტეხი იყო რედაქციისათვის.

სწორედ მაშინ მოუწია გაზეთს კომპიუტერულ სისტემაზე გადასვლა.

ერთ-ერთი პირველი იყო „სამტრედიის მაცნე" რეგიონის მედიასაშუალებებიდან ამ სისტემას რომ მოერგო ჩინებულად.

არც კადრის შერჩევაზე გვიფიქრია დიდხანს, სტამბიდან საქმის მოყვარული ახალგაზრდა, რუსუდან მუქერია ამოვიყვანეთ ოპერატორად. მან ჩინებულად აუღო ალღო კომპიუტერს და დიდხანს ერთგულად ემსახურა გაზეთს.

სხვა დრო იყო მაშინ, სხვა სიყვარული, სხვა ურთიერთობები, ბევრი, განა ცოტანი დღეს ირონიით აღნიშნავენ, მაშინ გაზეთი თვეში ერთხელ გამოდიოდაო, მაგრამ როცა რაიონში, რეგიონსა და ქვეყანაში ჩალის ფასად იყიდებოდა ან ინგრეოდა გიგანტი საწარმოები, ფაბრიკები, ქარხნები, როცა ერთმანეთის მიყოლებით იხურებოდა რეგიონული თუ ცენტრალური ჟურნალ-გაზეთები, მაშინდელი თვეში ერთი გაზეთი დიახაც, გმირობის ტოლფასი იყო თვეობით ხელფასსმოცლოდინე ჟურნალისტებისათვის.

კეთილი ადამიანების კეთილი გულით მოძღვნილი სპონსორული თანხაც რომ პირდაპირი დანიშნულებით მოდიოდა, ესეც აღსანიშნავია.

ერთის ჭირი ყველას ჭირად უჩნდა მაშინ, ქვეყანაშიც, რედაქციაშიც.

ბატონ ოთარ ნაფეტვარიძეს ძმა გარდაეცვალა სენაკში, ქვეყანა სამოქალაქო ომის ჭრილობებს იშუშებს, ჭირს მგზავრობა არა თუ ქალაქიდან ქალაქში, თვით შიდასაქალაქო ტრანსპორტიც ძლიერ შეფერხებით მუშაობს.

შეუძლებელია სენაკში წაუსვლელობა.

რედაქტორმა გამოსავალს მიაგნო, მისი კარის მეზობელი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, ცნობილი მემანქანე ანზორ ჩიტია „შეაბა" და...

როცა ელმავალი სენაკში შემადგენლობის ჩამოსაყვანად ჩავიდა, სენაკის ვაგზალზე გაოცებული ხალხი გვიყურებდა ვაგონებჩაუბმელი ელმავლიდან გვირგვინებით გადმოსულ ადამიანებს _ რედაქციის თანამშრომლებს, უზომოდ ესიამოვნა ჩვენი თანადგომა რასაკვირველია, ბატონ ოთარ ნაფეტვარიძესა და მის ოჯახს.

იუმორი უყვარს მიშას.

მისი მეუღლე, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი ია მელქაძე დიდხანს ასწავლიდა გერმანულ ენას სამტრედიელ ახალგაზრდებს, მის ნიჭიერებაზე, პედაგოგიურ ალღოსა და ინტელექტზე დღესაც გატაცებით საუბრობს ჩვენი კოლეგა, თავად ინტელიგენტი _ ქალბატონი ნათია ნაცვლიშვილი.

მეზობლებს ვეუბნები, ჰყვება ერთხელ მიშა, ჩემთან ჭიშკარზე რომ მოხვალთ, მიშაია დაიძახეთ და ან მე გამოვალ და ან ია-თქო, მის სახელს მეუღლის სახელი მიუმატა მიშამ და მიშაიას დაძახებას ამიტომ სთხოვდა იგი მეზობლებს.

საამაყო მშობლებმა შვილებიც საამაყოდ აღზარდეს.

დღეს ძმები რევაზ და სოსო ნიკოლეიშვილები თავდაცვის სამინისტროს ჩინიანი თანამშრომლები არიან.

წონადი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო მისიებში წრთობამიღებულ ძმებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

კარგა ხანია მიშა თბილისში გადასახლდა, თუმცა ხშირად ისევ სამტრედიული აქცენტით გვეხმიანება ყოფილ კოლეგებს.

ამ დღეებში ჩვენი მიშა იუბილარია, 70 წლისა ხდება, იუბილარია ქალბატონი იაც.

სიყვარულით, პატივისცემით ვულოცავთ მათ ღირსეულ საიუბილეო თარიღებს და ულევ სიხარულს, ოჯახის, შვილების, შვილიშვილების კეთილდღეობას ვუსურვებთ.

მრავალჟამიერ!

ლევან ბაბეჩავა

ვულოცავთ!

რომან ბექაიას!

ჩვენი გაზეთის მემატიანეს, ღვაწლმოსილ თანამშრომელს, ჩვენს უხუცეს რომან ბექაიას სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს. წლების სიმრავლე დაებედოს დიდი და ღირსეული ოჯახის მამას. საუკეთესოდ ახდენოდეს საუკეთესო ჩანაფიქრები.

„სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ ნატო მანჯგალაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

იდღეგრძელეთ!

ვეტერანთა რაიონული კავშირი

ბატონებს **ზურაბ გოგიასა და ნოე ივანიაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს.

გფარავდეთ უფალი!

ვეტერანთა რაიონული კავშირი

ბატონ გულიკო ჩიტკოვს!

ვეტერან ფეხბურთელს (1958-1967 წ.წ.) ფეხბურთის გულშემატკივარს, შვილიშვილის, ახალგაზრდა ფეხბურთელის _ ირაკლის დამკვალიანებელს გულითადად ვულოცავთ 78 წლის შესრულებას. დღეგრძელობას ვუსურვებთ, კვლავ დიდხანს ექომაგოს ქართული ფეხბურთისათვის.

გია გოჭორიშვილი, რაულ ხუჭუა

იზა სანიკიძეს!

ნიჭიერ, ერუდირებულ ჟურნალისტს, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს. კარგი ადამიანობის კვალი დიდხანს გაჰყოლოდეს მისი ცხოვრების გზას!

„სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ ნარგიზ გოგიას!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს _ 70 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ულევ სიხარულს და ბედნიერებას, წარმატებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყავით მუდამ ასეთი მომხიბვლელი და ენერგიული, მრავალი ბედნიერი წელი შეგმატოთ უფალმა!

წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალი

ნატო მიქაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. გაზაფხულის სილამაზე და ფერადოვნება დაებედოს შენს გასავლელ გზას. გაიხარე და გამრავლდი. უხვად გყოლოდეს მოკეთე და მოიმედე. ჯანმრთელობა და ბედნიერება დაგებედოს!

„სამტრედიის მაცნე"

თეა შენგელიას!

მხიარულს, ენერგიულს, იმედიანს, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანის სიმრთელე, სიყვარული არ მოგკლებოდეს. კიდევ ბევრი დაბადების დღე მოგველოცოს შენთვის კეთილისმსურველებს, მეგობრებს, ახლობლებს. დიდხანს გვეყოლე ღიმილიანი შენი დიდი ოჯახის ბედნიერებით!

„სამტრედიის მაცნე"

ვალერი თევზაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ბედნიერება არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს. ფუძის სიძლიერე და საუკეთესო სურვილების ასრულება დაგებედოთ!

მეგობრები „სამტრედიის მაცნედან"

ვენერა პაპავას!

ღირსეულ დედას და ბებიას, სხვათა თანადგომის ნიჭით გამორჩეულ ქალბატონს გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას.

პატივისცემით ნათელა და ვაჟა ტერელაძეები ოჯახით

წმინდა მანდილით

ვუძღვნი ჩემს მეუღლეს, მანანა ოდილავაძე-ჩირგაძეს

გულისკარს მიხსნის შენი თვალები,
თითქოს ციცაბო კლდეზე ავდივარ,
სად წინათგრძნობა გაუკვდავების
ჩნდება უბრალოდ, მანთებს მარტივად.
მთვარე ივსება, ცა მონატრებად
გადაიქცევა, თვალებს დაივსებს,
რომ საყვედური გვითხრან ნაკლებად,
ვისაც სურვილი აამაისებს.

ხედავ? ხალისი, მღელვარე გულის,
თითქოს მზეს სხივი გაუფანტია
და ახლა ილავს ხალისით წყურვილს
დარწმუნებული მას შენატრიან.
ხედავ? ამ წამსაც ახლავს თვისება
შენი თვალების გამოძახილით,
მზე რომ არასდროს დაინისლება,
როს აინთება წმინდა მანდილით.

დავით ჩირგაძე

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა